

585 / 2  
1991

ISSN 0203-2023  
საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მეცნიერებათა  
ინსტიტუტი



1991

95

№ 1

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს  
უწყებები

---

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გამომცემა

თ ბ ი ლ ი ს ი

45661



# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები

№ 1 (606)

იანვარი

1991 წელი

## ზ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „ქ. ცხინვალსა და ჭავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. ✓
2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომის შესახებ.
3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „ქ. ცხინვალსა და ჭავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. ✓
4. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ვ. ვ. კეშელავის გაზეთ „ვესტნიკ გრუზიის“ მთავარ რედაქტორად დანიშვნის შესახებ.
5. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება 50 და 100 მანეთის ღირებულების ფულის ნიშნების შეცვლის ღონისძიებათა განსახორციელებლად სპეციალური რესპუბლიკური სადემპუტატო კომისიის შექმნის შესახებ.
6. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ნ. ს. მგელაძის ეურნალ „საქართველოს ქალის“ მთავარ რედაქტორად დანიშვნის შესახებ.
7. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება მ. გ. ბარათაშვილის ეურნალ „საქართველოს ქალის“ მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

საქართველოს  
რესპუბლიკის  
პრეზიდიუმი



8. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში 1961 წლის ნიშნის 50-და 100-მანეთიანი სსრ კაჟშირის სახელმწიფო ბანკის ფულის ნიშნების გაცვლის მიმდინარეობის შესახებ.
9. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება მ. ს. გიულამამდოვის გაზეთ „გორჯისტანის“ მთავარ რედაქტორად დანიშნვის შესახებ.
10. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ს. მ. სულეიშანოვის გაზეთ „გორჯისტანის“ მთავარი რედაქტორის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

**საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები**

**(1991 წლის 9 იანვარი)**

11. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესახებ.

**(1991 წლის 29 იანვარი)**

12. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების რ. გ. ლონდაძის, ნ. მ. შავთვალაძის, ვ. შ. ცაგარეიშვილის, ლ. ე. ახმეტელის, გ. გ. ჩეჩელაშვილის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.
13. საქართველოს რესპუბლიკის კანონი გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ.
14. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.
15. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.
16. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნების შესახებ.
17. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღებისა და საკრებულოების არჩევნების დანიშნვის თაობაზე.
18. საქართველოს რესპუბლიკის კანონი რეფერენდუმის შესახებ.
19. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.
20. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურის შესახებ.
21. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება შინაგანი ქარების — ეროვნული გვარდიის რიგებში 1991 წელს წვევამდელთა გაწვევის შესახებ.

22. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება შინაგან ჯარებში — ეროვნულ გვარდიაში გაწვევის წესის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.
23. შინაგან ჯარებში — ეროვნულ გვარდიაში გაწვევის წესის დროებითი დებულება.
24. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის შინაგან ჯარებში — ეროვნულ გვარდიაში სამხედრო სამსახურის გავლის წესის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.
25. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან ჯარებში — ეროვნულ გვარდიაში სამხედრო სამსახურის გავლის წესის დროებითი დებულება.
26. სამხედრო ფიცი.
27. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებათა შეტანის შესახებ.
28. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში რაიონის (ქალაქის) სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ.
29. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მსაჯულთა არჩევნების შესახებ.
30. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ე. გ. ლორთქიფანიძის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.
31. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატების შეტანის თაობაზე.
32. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის დამტკიცების შესახებ.
33. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრების არჩევის შესახებ.

**(1991 წლის 30 იანვარი)**

34. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა დებულების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების თაობაზე.
35. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა დასაქმების შესახებ.
36. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თაობაზე.
37. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედების საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეჩერების თაობაზე.

38. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.
39. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „მართლწესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად და დამნაშავეობასთან ბრძოლაში მილიციისა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების ურთიერთმოქმედების შესახებ“ სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულების მოქმედების შეჩერების თაობაზე.
40. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოდან დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.
41. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ი. ს. ყორდანიას საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
42. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ა. ა. ჭირაქაძის საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.
43. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სარედაქციო კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

#### ბანყოფილება მისამ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომები.

### ბანყოფილება პირველი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის  
დადგენილება

#### 1 „ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში ცვლილების შეტა- ნის თაობაზე

1991 წლის 4 იანვარს ქ. ცხინვალში ოსი ექსტრემისტები თავს დაესხნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკებს, მიაყენეს მათ ფიზიკური შეურაცხყოფა და წაართვეს ტაბელური იარაღი.

აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ნაწილობრივ შეიცვალოს „ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 12 დეკემბრის დადგენილების მე-2 პუნქტი და ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე კომენდანტის საათის მოქმედების ხანგრძლივობა განისაზღვროს 19-დან 7 საათამდე.

დადგენილება ძალაში შედის 1991 წლის 6 იანვრიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 5 იანვარი.

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

#### 2 საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომა 1991 წლის 9 იანვარს 10 საათზე უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია იწარმოებს 1991 წლის 9 იანვარს 9 საათიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 8 იანვარი.

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კრედიტის დადგენილება

**3** „ქ. ცხინვალსა და ჭავჭავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო  
შესახის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს კრედიტის დადგენილებაში ცვლილების შეტანის  
თავაზობა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კრედიტის დადგენს.

ნაწილობრივ შეიცვალოს „ქ. ცხინვალსა და ჭავჭავის რაიონის ტერიტორიაზე  
საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი  
საბჭოს კრედიტის 1990 წლის 12 დეკემბრის დადგენილების პირველი  
პუნქტი და საგანგებო წესების მოქმედების ვადა ქ. ცხინვალსა და ჭავჭავის  
რაიონის ტერიტორიაზე გაგრძელდეს 1991 წლის 12 თებერვლამდე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 11 იანვარი.

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კრედიტის დადგენილება

**4** 3. 3. კეშელავას გზაზე „ვესტნიკ გრუზიის“ მთავარ რედაქტორად  
დადგენილების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კრედიტის დადგენს:

დაინიშნოს ვარლამ ვარლამის ძე კეშელავა გზაზე „ვესტნიკ გრუზიის“  
მთავარ რედაქტორად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 15 იანვარი.



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის  
დადგენილება

**5** 50 და 100 მანეთის ღირებულების ფულის ნიშნების შეცვლის  
ლონისძიებათა განსახორციელებლად სპეციალური რესპუბლი-  
კური სადევუტატო კომისიის შექმნის შესახებ

50 და 100 მანეთის ღირებულების ფულის ნიშნების ჩაბარებისა და მათი  
სხვა ღირებულების ფულის ნიშნებზე შეცვლის ღონისძიებათა რესპუბლიკაში  
ორგანიზებულად ჩატარებისა და ამ ღონისძიებათა განხორციელებისას წამო-  
ჭრილი საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით საქართველოს რეს-  
პუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

შეიქმნას სპეციალური რესპუბლიკური სადევუტატო კომისია შემდეგი  
შემადგენლობით:

**კომისიის თავმჯდომარე**

**ტ. ა. გელანტია** — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სა-  
ფინანსო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბ-  
ლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

**კომისიის წევრები**

**გ. ჩ. თაქთაქიშვილი** — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
ეკონომიკური რეფორმის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს რეს-  
პუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

**გ. ვ. აბსანძე** — საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი.

**ვ. ა. პატიშვილი** — სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს  
რესპუბლიკური ბანკის გამგეობის თავმჯდომარე.

**ო. გ. ხატიაშვილი** — საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სახელ-  
მწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. ბაშსახურდია**.





საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კრედიტული  
დადგენილება

**6 ნ. ს. მგელაძის ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მთავარ რედაქტორად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კრედიტული ადგენილება დაინიშნოს ნარგიზა სიმონის ასული მგელაძე ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მთავარ რედაქტორად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 24 იანვარი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კრედიტული  
დადგენილება

**7 მ. გ. ბარათაშვილის ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კრედიტული ადგენილება დათავისუფლდეს მარია გერვასის ასული ბარათაშვილი ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მთავარი რედაქტორის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 24 იანვარი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კრედიტული  
და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს  
დადგენილება

**8 საქართველოს რესპუბლიკაში 1961 წლის ნიშნის 50-და 100-მანეთიანი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ფულის ნიშნების გაცვლის მიმდინარეობის შესახებ**

1961 წლის ნიშნის 50-და 100-მანეთიანი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ფულის ნიშნების გაცვლის ეფექტიანად განხორციელების, ამ პროცესში მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინების, უზრომელ



შემოსავალთან ბრძოლის გაძლიერებისა და ფულის მიმოქცევისა და სამომავლო ბაზრის ნორმალიზაციის მიზნით, აღნიშნული ფულის ნიშნების გაცვლისას რესპუბლიკაში ერთიანი პოლიტიკის გასატარებლად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 23 იანვრის დადგენილებით შექმნილი რესპუბლიკური სპეციალური სადებუტატო კომისიის წინადადებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ :

1. მიენიჭოთ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტსა და ფინანსთა სამინისტროს საგანგებო უფლებამოსილებანი, რათა კოორდინაცია გაუწიონ 1961 წლის ნიმუშის 50-და 100-მანეთიანი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ფულის ნიშნების გაცვლას და გააკონტროლონ მიმოქცევიდან ამოღების ღონისძიებათა შესრულების სისწორე.

2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობას (ო. ხატიაშვილი, გ. აბსანძე) მიენიჭოს უფლება, რომ თანამდებობიდან გადააყენოს საბანკო და საფოსტო დაწესებულებათა ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს დადგენილი წესის შესაბამისად 1961 წლის ნიმუშის 50-და 100-მანეთიანი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ფულის ნიშნების გაცვლისა და მიმოქცევიდან ამოღების ღონისძიებათა გატარება.

3. დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე და მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სპეციალურ განკარგულებამდე.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
**ზ. გამსახურდია**

საქართველოს რესპუბლიკის  
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე  
**თ. სიგუა**

თბილისი, 1991 წლის 26 იანვარი.



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის  
დადგენილება

**9 მ. ს. გიულმაგამდოვის გაზეთ „გიურჯუსტანის“ მთავარ რედაქტორად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:  
დანიშნოს მამედ სეიფულა ოღლი გიულმაგამდოვი გაზეთ „გიურჯუსტანის“ მთავარ რედაქტორად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 31 იანვარი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის  
დადგენილება

**10 ს. მ. სულეიგანოვის გაზეთ „გიურჯუსტანის“ მთავარი რედაქტორის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:  
გათავისუფლდეს სულეიგან მამად ოღლი სულეიგანოვი გაზეთ „გიურჯუსტანის“ მთავარი რედაქტორის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 31 იანვარი.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს  
მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

(1991 წლის 9 იანვარი)

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის  
დადგენილება

**11 სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, რომელიც გაეცნო სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულებას, მიიჩნია:



1. სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც არ ცნობს სამსახურის დატოვების თაობაზე ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონის იურიდიულ ძალას, ანტიკონსტიტუციურია შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) საქართველოს რესპუბლიკის კანონის იურიდიული ძალის უარყოფა არ შეუძლია სსრ კავშირის ხელისუფლების არც ერთ ორგანოს, რადგანაც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის თანახმად საქართველოს რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა და თავისი საზღვრების ფარგლებში ახორციელებს ტერიტორიულ უზენაესობას (საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 70-ე მუხლი და სსრ კავშირის კონსტიტუციის 78-ე მუხლი), რომლის ძალითაც რესპუბლიკის კანონები და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა აქტები განუხრელად უნდა შეასრულოს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულმა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანომ, საწარმომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის თანახმად რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს უფლება აქვს გადაწყვიტოს ეროვნულ-სახელმწიფო მოწყობის ყველა საკითხი. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ ისარგებლა აღნიშნული უფლებით და გააუქმა თავის დროზე არაკანონიერად შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, სადაც ამჟამად ექსტრემისტები და სეპარატისტები ეწევიან არა მარტო იქ მცხოვრები მკვიდრი ქართველი მოსახლეობის აშკარა დისკრიმინაციას და შევიწროებას, არამედ ცდილობენ საქართველოს მოსწყვიტონ ეს რეგიონი;

გ) სსრ კავშირის კონსტიტუცია ითვალისწინებს, რომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭო უფლებამოსილია დაამტკიცოს ახალ ავტონომიურ ფორმირებათა შექმნა (73-ე მუხლის მე-2 პუნქტი), ამ საკითხის გადაწყვეტა კი მოკავშირე რესპუბლიკის პრეროგატივაა (საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 72-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

ავტონომიური ოლქის გაუქმების ფაქტის დამტკიცების საკითხი არ დასმულა სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წინაშე, ვინაიდან ამგვარი წესი არ არის გათვალისწინებული არც სსრ კავშირის კონსტიტუციით და არც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით. „სსრ კავშირისა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“ 1990 წლის 26 აპრილის კანონი, მთელი თავისი ანტიკონსტიტუციურობის მიუხედავად, ასევე არ ითვალისწინებს ავტონომიური ოლქის გაუქმების ფაქტის დადასტურებას.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო ვალდებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 87-ე მუხლიდან ამოიღოს დებულება საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ყოფნის შესახებ და ამით სსრ კავშირის კონსტიტუცია შეუსაბამოს იურიდიულ და ფაქტობრივ სწინამდვილეს.



2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო არ აკნინებს ეროვნულ-ბიბლისა და ხალხების თვითგამორკვევის უფლებას სახელმწიფოებრივი ერთეულის შექმნის ჩათვლით, ამასთან დაუშვებლად მიიჩნევს ამ უფლების გავრცელებას საქართველოში მცხოვრებ იმ ეროვნულ უმცირესობებზე, რომელთაც საკუთარი სახელმწიფოებრიობა გააჩნიათ საქართველოს ფარგლებს გარეთ. საერთაშორისო სამართალიც კი მათ ანიჭებს მხოლოდ ეროვნულ-კულტურული ავტონომიის უფლებას და თანასწორუფლებიანობას ცხოვრების ყველ სფეროში (ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლი, ახლანა მღღებული პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის და სხვა აქტები), რაც საქართველოში ყოველთვის იყო და არის უზრუნველყოფილი ყველა ერის წარმომადგენლებისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყოფილი ოლქის გარდა, სადაც 65 ათასი ოსი ეროვნების მოქალაქე ცხოვრობს, საქართველოს სხვა რაიონებში 100 ათასზე მეტი ოსი ეროვნების მოქალაქეა დასახლებული, რომლებიც ყველა სამოქალაქო და ეკონომიკურ-კულტურული უფლებით სარგებლობენ.

3. მიუღებელია სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და პირადად სსრ კავშირის პრეზიდენტის პოზიცია, ვინაიდან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ატონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სეპარატისტულ მოქმედებათა მთელი დროის განმავლობაში, როდესაც მან მიიღო საქართველოს ტერიტორიული დაქუცმაცებისაკენ მიმართული აშკარად ანტიკონსტიტუციური აქტები (1990 წლის 20 სექტემბერსა და 16 ოქტომბერს), საკავშირო ორგანოებმა არავითარი ოფიციალური რეაგირება არ მოახდინეს, მხარი არ დაუჭირეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და მის პრეზიდენტს, რომლებმაც საოლქო საბჭოს მოქმედებანი არაკონსტიტუციურად გამოაცხადეს სწორედ სსრ კავშირის კონსტიტუციის ძალით, რასაც ასე ხშირად იშველიებს სსრ კავშირის პრეზიდენტი.

სსრ კავშირის კონსტიტუციას თუ დავერწმუნებით, კავშირისა და, უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირის პრეზიდენტის ამოცანაა უზრუნველყოს სსრ კავშირის კონსტიტუციით განსაკუთრებული მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

ხელისუფლების საკავშირო ორგანოები ფაქტობრივად აქეზებდნენ ოს სეპარატისტებს არაკანონიერი ქმედებისათვის; 9 დეკემბერს ჩატარდა არჩევნები არაკანონიერად შექმნილ „რესპუბლიკაში“. ამ შემთხვევაშიც სსრ კავშირის პრეზიდენტმა, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდენტმა და თვით უზენაესმა საბჭომაც დუმილი ამჯობინეს.

სსრ კავშირის პრეზიდენტმა მხოლოდ მას შემდეგ მოახდინა რეაგირება, რაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იძულებული გახდა გაეუქმებინა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც ფაქტობრივად გაეუქმა ავტონომიური ოლქის საქართველოსაგან დამოუკიდებელ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ საოლქო საბჭოს გადაწყვეტილებით.

საგულისხმოა, რომ რეგიონში საგანგებო მდგომარეობის შემოღება განაპირობა საკავშირო ორგანოების მიმნებებლობამ, რითაც ისარგებლეს ოსმა



ეპარატის ტიპში, ქ. ცხინვალში მოკლეს და დაჭრეს საქართველოს რესპუბლიკის სამართალდამცველი ორგანოების რამდენიმე წარმომადგენელი, მიუხედავად იმისა, რომ იქ იმყოფებოდნენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები.

ექსტრემისტებმა, რომლებიც გრძნობენ ცენტრის მხარდაჭერას, წესად გაიკეთეს თავდასხმა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებზე, რომელთაც ეკისრებათ საგანგებო მდგომარეობის პირობებში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანა, და მძევლებდაც აპყავთ ისინი.

ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას ამოეღოთ იარაღი, რომელიც დიდი რაოდენობით გააჩნიათ ალვირახსნილ ექსტრემისტებს.

ყოველგვარ მორალურ და იურიდიულ საფუძველს არის მოკლებული სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების მოთხოვნა, რომლის თანახმადაც რეგიონიდან გაყვანილ უნდა იქნეს ყველა შეიარაღებული ფორმირება, გარდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა.

რეგიონში არ არის არავითარი „შეიარაღებული ფორმირებანი“, გარდა ოსი ექსტრემისტებისა, რომლებიც სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების მიმნებებლობის გამო ნადირობენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებზე, რის თაობაზეც ბრძანებულებაში რატომღაც არააფერია ნათქვამი. მილიციის ქვედანაყოფები შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების შემადგენელი ნაწილია და პროფილაქტიკურ და ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებებს ახორციელებენ რეგიონში ვითარების სტაბილიზაციისათვის.

საგანგებო მდგომარეობის უზრუნველსაყოფად საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ძალების გამოყენება უშუალოდ არის გათვალისწინებული როგორც საქართველოს რესპუბლიკის, ასევე სსრ კავშირის კანონმდებლობით. ეს რესპუბლიკის ერთ-ერთი ძირითადი სუვერენული უფლებაა და ხელისუფლების არც ერთ საკავშირო ორგანოს, სსრ კავშირის პრეზიდენტსაც კი, არა აქვს უფლება შეზღუდოს რესპუბლიკის კომპეტენცია, უზრუნველყოს თავისი ტერიტორიის ფარგლებში წესრიგის დამყარება, მით უმეტეს, რომ საგანგებო მდგომარეობის შემოღება მართლზომიერად ცნეს შესაბამისმა საკავშირო ორგანოებმა.

პრეზიდენტის ბრძანებულების ტრაგიკულმა შედეგებმა თავი იჩინა მისი გამოქვეყნებიდან უკვე რამდენიმე საათის შემდეგ. ამ აქტით გამხსნევებული ადგილობრივი ექსტრემისტები თავს დაესხნენ საქართველოს რესპუბლიკის მილიციის მუშაკებს, არის ადამიანთა მსხვერპლი.

ნიშანდობლივია, რომ ბრძანებულება, ერთი მხრივ, სადავოს ხდის საქართველოს რესპუბლიკის კანონს და მიუთითებს მთელი რიგი ღონისძიებების გატარებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, დუმილით უვლის გვერდს ე. წ. სამხრეთ

ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის სტრუქტურების ლიკვიდაციის აუცილებლობას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. დადასტურდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 11 დეკემბერს მიღებული „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის იურიდიული ძალა.

2. სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წინაშე დაისვას საკითხი სსრ კავშირის კონსტიტუციის 87-ე მუხლში შესაბამის ცვლილებათა შეტანის შესახებ.

3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებამ არაკანონიერად აღიარა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ მიღებული აქტები ე. წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შესახებ.

4. არაკანონიერად იქნეს მიჩნეული ბრძანებულების მოთხოვნა რევიონიდან საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის ქვედანაყოფთა გამოყვანის შესახებ, ვინაიდან ისინი მოქმედებენ საქართველოს ტერიტორიაზე და იცავენ საზოგადოებრივ წესრიგს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა განაგრძონ „ქ. ცხინვალსა და ჭავჭავაძის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება.

6. მიჩნეულ იქნეს სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფად, რესპუბლიკისა და მისი ხალხის სუვერენულ უფლებათა უგულებელყოფად, რაც ნათლად გამოვლინდა საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური სახელწოდების დამახინჯებაშიც — ბრძანებულებაში გამოყენებულა ძველი დასახელება — საქართველოს სსრ.

7. ხელისუფლების უზენაესობისა და ტერიტორიული მთლიანობის უხეშ ხელყოფა აუკრძალო დემოკრატიული წესით არჩეულ ხელისუფლების უზენაეს ორგანოს საკუთარი სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით აკონტროლებდეს ქვეყნის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს;

იმ შემთხვევაში, თუ რეგიონში განლაგებული სსრ კავშირის შინაგან უსიყვარულო ჯარები შეეცდებიან ძალის გამოყენებით დაატოვებინონ საქართველოს რესპუბლიკის სამართალდამცველ ორგანოებს აღნიშნული რეგიონი, ეს ქმედებები შეფასებული იქნება, როგორც ცენტრის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყება;



ამ აქციის შესახლო შედეგებისათვის მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საკავშირო უმაღლეს ხელისუფლებას და პირადად სსრ კავშირის პრეზიდენტს.

8. ეს დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბამსახშრდია.

თბილისი, 1991 წლის 9 იანვარი.

(1991 წლის 29 იანვარი)



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

**12** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეკლარაციის რ. ბ. ღონღაძის, ნ. მ. შავთვალაძის, ვ. შ. ცაგარეიშვილის, ლ. ე. ახმეტელის, გ. ბ. ჩეჩელაშვილის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

მოისმინა რა სამანდატო და დეპუტატის ეთიკის კომისიის მოხსენება, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 107-ე მუხლის შესაბამისად ადგენს:

ცნობილ იქნეს საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ პარტიული სიით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების რუსლან გიორგის ძე ღონღაძის, ნუგზარ მიხეილის ძე შავთვალაძის, ვახტანგ შალვას ძე ცაგარეიშვილის, ლევან ელიზბარის ძე ახმეტელისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის სიით არჩეული დეპუტატის გიორგი გიორგის ძე ჩეჩელაშვილის უფლებამოსილება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბამსახშრდია.

თბილისი, 1991 წლის 29 იანვარი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**13** გარღამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ადგილობრივი მმართველობა

ადგილობრივი მმართველობა არის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის შემადგენელი ნაწილი, რომლის მიზანია არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში უზრუნველყოს გარდამავალი პერიოდის ამოცანების გადაწყვეტა.





**მუხლი 2.** ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპები

ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპებია:

- კანონიერება და მისი უზრუნველყოფა;
- მოქალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა;
- სამართლიანობა;
- საჯაროობა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება;
- ეფექტიანობა და ბიუროკრატიზმის თავიდან აცილება;
- საერთო რესპუბლიკური და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობა;
- ეროვნული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების გათვალისწინება;
- ანგარიშვალდებულება სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ზემდგომი ორგანოებისა და მოსახლეობის წინაშე.

**თ ა ვ ი I**

**ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და მათი უფლებამოსილება**

**მუხლი 3.** ადგილობრივი მმართველობის სისტემა

ადგილობრივი მმართველობა ქვემდებარე ტერიტორიაზე მოიცავს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, საზოგადოებრივ-ტერიტორიულ თვითმმართველობას.

1) სოფლის (დაბის, თემის), რაიონული დაქვემდებარების ქალაქის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებია:

- მოსახლეობის მიერ არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანო — სოფლის (დაბის, თემის), ქალაქის საკრებულო;
- სოფლის (დაბის, თემის) საკრებულოს მიერ არჩეული აღმასრულებელი ორგანო — გამგეობა ან თანამდებობის პირი — გამგებელი;
- ქალაქის საკრებულოს მიერ არჩეული აღმასრულებელი ორგანო — გამგეობა;
- საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები.

სოფლის ადგილობრივი მმართველობის ქვემდებარე ტერიტორია აერთიანებს ერთი ან რამდენიმე სოფლის ტერიტორიას. ამ საკითხს საზოგადოებრივ-ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების წარდგინებით წყვეტს პრეფექტი.

2) რესპუბლიკური (საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების რაიონისა და რესპუბლიკური (საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების ქალაქის (რომელსაც არ აქვს რაიონული დაყოფა და აღმინისტრაციულად ექვემდებარება სასოფლო რაიონს) ადგილობრივი მმართველობის ორგანოებია:

- ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანო — რაიონის საკრებულო;
- სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო — პრეფექტურა, რომელსაც პრეფექტი მეთაურობს;

— საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები.

რაიონის საკრებულოს წევრები არიან:

სოფლის (დაბის, თემის), ქალაქის (რაიონული დაქვემდებარების) საკრებულების მდივნები;

— სოფლის (დაბის, თემის), ქალაქის (რაიონული დაქვემდებარების) სახეულოების შემადგენლობიდან არჩეული წევრები, რომელთა რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა.

3) რესპუბლიკური (საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების ქალაქის (რომელსაც აქვს რაიონული დაყოფა) ადგილობრივი მართველობის ორგანოებია:

— ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანო — ქალაქის საკრებულო;

— სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო — პრეფექტურა. რომელსაც პრეფექტი მეთაურობს;

— საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები.

ქალაქის საკრებულოს წევრები არიან:

— მოსახლეობის მიერ არჩეული ქალაქის რაიონების საკრებულოების მდივნები;

— ქალაქის რაიონების საკრებულოების მიერ თავიანთი შემადგენლობიდან არჩეული წევრები, რომელთა რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა.

რესპუბლიკური (საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების ქალაქის რაიონის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებია:

— მოსახლეობის მიერ არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანო — ქალაქის რაიონის საკრებულო;

— ქალაქის რაიონის საკრებულოს მიერ არჩეული აღმასრულებელი ორგანო — გამგეობა;

— საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები.

4) რესპუბლიკური (საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების ქალაქის (რომელსაც არა აქვს რაიონული დაყოფა) ადგილობრივი მმართველობის ორგანოებია:

— მოსახლეობის მიერ არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანო — ქალაქის საკრებულო;

— საკრებულოს მიერ არჩეული აღმასრულებელი ორგანო — საკრებულოს გამგეობა;

— სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო — პრეფექტურა. რომელსაც პრეფექტი მეთაურობს;

— საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები.

5) რესპუბლიკური (საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების ქალაქის (რომელსაც არა აქვს რაიონული დაყოფა და რომლის თანამოსახელე რაიონი არსებობს) ადგილობრივი მმართველობის ორგანოებია:

856  
19.9.51



— მოსახლეობის მიერ არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანო — ქალაქის საკრებულო;

— საკრებულოს მიერ არჩეული აღმასრულებელი ორგანო — საკრებულოს გამგეობა;

— სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო — პრეფექტურა, რომელსაც პრეფექტი მეთაურობს.

ასეთი ტიპის ქალაქსა და შესაბამის რაიონში ერთი საერთო პრეფექტურა იქმნება და საერთო პრეფექტი ინიშნება.

**მუხლი 4.** სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები

1) სოფლის (დაბის, თემის), რაიონული დაქვემდებარების ქალაქის, რაიონის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის და ქალაქის რაიონის საკრებულოების ორგანიზაცია, საქმიანობის წესი და კომპეტენცია განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, ამ კანონით, საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონებითა და საკრებულოს რეგლამენტით, რომელსაც პრეფექტი ამტკიცებს.

2) სოფლის (დაბის, თემის), რაიონული დაქვემდებარების ქალაქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა და ქალაქის რაიონის საკრებულოების წევრებს კანონით დადგენილი წესით ირჩევს ქვემდებარე ტერიტორიის მოსახლეობა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით 3 წლის ვადით.

რაიონისა და რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის საკრებულოები კანონით დადგენილი წესის შესაბამისად აირჩევა ქვემდებარე ტერიტორიების საკრებულოების მიერ თავიანთი შემადგენლობებიდან.

3) საკრებულოს საქმიანობის ძირითადი ფორმები

საკრებულოს საქმიანობის ძირითადი ფორმებია:

— საკრებულოს სესია;

— საკრებულოს წევრთა საქმიანობა თავიანთ საარჩევნო ოლქებში;

— საკრებულოს კომისიების მუშაობა.

4) საკრებულოს სხდომის ორგანიზაცია

ახლად არჩეული საკრებულოს პირველ სხდომას იწვევს შესაბამისი საარჩევნო კომისია არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ ამ დროისათვის არჩეულია საკრებულოს წევრთა საერთო რიცხვის სულ ცოტა ორი მესამედი. მომდევნო სხდომას იწვევს საკრებულოს მდივანი თავისი ინიციატივით, პრეფექტის, საკრებულოს წევრთა საერთო რიცხვის ერთი მესამედის მოთხოვნით ან მოცემული ქვემდებარე ტერიტორიის ამომრჩეველთა იმ რიცხვის მოთხოვნით, რაც განისაზღვრება შესაბამისი საკრებულოს რეგლამენტით.

საკრებულოს მდივნის არჩევამდე ახლად არჩეული საკრებულოს პირველ სხდომას უძღვება შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.



5) საკრებულოს სხდომაზე გადასაწყვეტი საკითხები

მხოლოდ და მხოლოდ საკრებულოს სხდომაზე უნდა გადაწყდეს შემდეგი

საკითხები:

- საკრებულოს რეგლამენტის მიღება, მასში ცვლილებების შეტანა;
- ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
- ადგილობრივი ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის დამტკიცება;
- საკრებულოს მდივნისა და მისი მოადგილის არჩევა და თანამდებობიდან გადარჩევა;
- გამგეობის არჩევა, გამგეობის თავმჯდომარის ან გამგებლის დამტკიცება;
- სამანდატო, სარევიზიო და დროებითი კომისიების შექმნა;
- ბუნების დაცვასთან, ადგილობრივ გადასახადებსა და მოსაკრებლბთან დაკავშირებული ღონისძიებანი.

6) საკრებულოს მდივანი

საკრებულოს ხელმძღვანელობს მისი მდივანი, რომელსაც ირჩევენ შესაბამისი საკრებულოს წევრთაგან ფარული კენჭისყრით 3 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი მდივნად შეიძლება აირჩიონ ზედიზედ არა უმეტეს ორი ვადისა.

საკრებულოს მდივანი:

- იწვევს და უძღვება საკრებულოს სხდომებს;
- კოორდინაციას უწევს საკრებულოს კომისიების საქმიანობას;
- ხელს აწერს საკრებულოს სხდომათა გადაწყვეტილებებს.

7) საკრებულოს მდივნის მოადგილე

საკრებულოს მდივნის წარდგინებით საკრებულო ირჩევს საკრებულოს მდივნის მოადგილეს 3 წლის ვადით.

იმ შემთხვევაში, თუ საკრებულოს მდივანს დროებით არ შეუძლია შესრულოს თავისი მოვალეობები, მაშინ მისი არყოფნისას ან მდივნის უშუალო დავალებით მის ფუნქციებს ასრულებს მოადგილე.

საკრებულოს მდივნის ნებაყოფლობით გადადგომისას ან მის მიერ მდივნის ფუნქციების შესრულებისათვის დაუძლეველი დაბრკოლებების არსებობის შემთხვევაში საკრებულოს მდივნის მოადგილე ხდება საკრებულოს მდივანი.

საკრებულოს მდივნის მოადგილე:

- უზრუნველყოფს საჭირო მასალების მომზადებას საკრებულოს სხდომებისათვის;
- განაგებს საქმისწარმოებას;
- ასრულებს საკრებულოს რეგლამენტით მასზე დაკისრებულ სხვა მოვალეობებს.

მუხლი 5. სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები

1) პრეფექტი და პრეფექტურა



რაიონსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქში სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოა პრეფექტურა, რომელსაც პრეფექტი მეთაურობს.

პრეფექტურის სტრუქტურა და კომპეტენცია შესაბამისი კანონით განისაზღვრება.

რაიონისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების უმაღლესი თანამდებობის პირია პრეფექტი. იგი უზრუნველყოფს საერთო რესპუბლიკური ინტერესების დაცვას და სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

პრეფექტს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი. პრეფექტი ანგარიშვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წინაშე. პრეფექტის უფლებამოსილების ვადა 4 წელია. ერთი და იგივე პირი პრეფექტად შეიძლება დაინიშნოს არა უმეტეს ზედიზედ ორი ვადისა.

ავტონომიური რესპუბლიკების რაიონების და რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების ქალაქების პრეფექტებს ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

2) პრეფექტის კომპეტენცია

თავისი ფუნქციების განხორციელებისათვის პრეფექტი:

— სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ზემდგომი ორგანოების, შესაბამისი საკრებულოს გადაწყვეტილებათა საფუძველზე ხელმძღვანელობს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას;

— ხელმძღვანელობს და წარმართავს პრეფექტურის საქმიანობას;

— ქმნის პრეფექტის კაბინეტს, პრეფექტურის განყოფილებებს, სამმართველოებს და სამსახურებს, ნიშნავს თანამდებობის პირებს;

— ამტკიცებს საკრებულოების რეგლამენტებს;

— თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადგილობრივი საკუთრების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს;

— აუქმებს შესაბამისი საკრებულოების მიერ მიღებულ აქტებს, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას;

— ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას ადგილობრივი მმართველობის ქვემდგომი ორგანოებისადმი, აუქმებს მათ მიერ მიღებულ აქტებს, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას;

— საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს წარმომადგენლობით ფუნქციებს როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში, ისე მის გარეთ; დებს ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს;



— საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული მთელი მიწების, წიაღისეული და ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებაზე, წყვეტს მიწათსარგებლობასთან, ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

— შეაჩერებს შესაბამის სამუშაოებს იმ შემთხვევაში, თუ საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია ან მოქალაქე არღვევს ბუნების დაცვის, მიწათსარგებლობისა და ადგილობრივი ბუნებრივი ან შრომითი რესურსების გამოყენების, სანიტარიის, ჯანმრთელობის დაცვისა და საფინანსო კანონმდებლობას;

— უზრუნველყოფს შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენის ორგანიზაციას და დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას;

— საკიროების შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინაშე აყენებს საკითხს საკრებულოს უფლებამოსილების შეწყვეტისა და ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ;

— ხელმძღვანელობს დაქვემდებარებულ შინაგან საქმეთა ორგანოებს, უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს განკარგულებებსა და ბრძანებებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა მთელს ქვემდებარე ტერიტორიაზე.

პრეფექტის განკარგულებისა და ბრძანების შეჩერება შეუძლიათ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს.

პრეფექტის განკარგულებისა და ბრძანების გაუქმება შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს თავისი ინიციატივით ან პრეფექტის საქმიანობაზე საპროკურორო ზედამხედველობის მასალების საფუძველზე, აგრეთვე სასამართლოს — კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

3) სოფლის, დაბის, თემის, ქალაქის (გარდა რაიონული დაყოფის შქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა), ქალაქის რაიონის საკრებულოს გამგეობა

სოფლის (დაბის, თემის, ქალაქის) საკრებულოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა სოფლის (დაბის, თემის, ქალაქის, ქალაქის რაიონის) საკრებულოს გამგეობა ან გამგებელი. გამგეობის შემადგენლობაში შედიან თავმჯდომარე და წევრები;

სოფლის (დაბის, თემის, ქალაქის, ქალაქის რაიონის) საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარეს თავისი უფლებამოსილების ვადით პრეფექტის წარდგინებით საკრებულოს წევრთა შემადგენლობიდან ირჩევს სოფლის (დაბის, თემის, ქალაქის, ქალაქის რაიონის) საკრებულო;

სოფლის (დაბის, თემის, ქალაქის, ქალაქის რაიონის) საკრებულოს გამგეობის წევრი, გარდა თავმჯდომარისა (გამგებლისა), არ შეიძლება იყოს დეპუტატი.



4) გამგეობის (გამგებლის) საქმიანობის ძირითადი მიმართულებები გამგეობის (გამგებლის) კომპეტენცია განისაზღვრება შესაბამისი საკრებულოს რეგლამენტით.

საკრებულოს მუშაობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სფეროში გამგეობა (გამგებელი):

— ხელმძღვანელობს პრეფექტის, საკრებულოსა და გამგეობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას;

— ხელს უწყობს საკრებულოს წევრებს მათი ფუნქციების განხორციელებაში.

საკრებულოს ფუნქციების განხორციელებისათვის გამგეობა (გამგებელი):

— წარმართავს ადგილობრივი საკუთრების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას;

— კოორდინაციასა და კონტროლს უწევს ქვემდებარე ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას, მიუხედავად მათი კუთვნილებისა;

— უზრუნველყოფს საკრებულოს ტერიტორიის კომპლექსურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას;

— ორგანიზაციას უწევს ბიუჯეტის შემუშავებასა და უზრუნველყოფს მის შესრულებას;

— განიხილავს მოქალაქეთა განცხადებებს, განაზოგადებს შემოსულ წინადადებებს და იღებს მათ გამო შესაბამის გადაწყვეტილებებს;

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში წყვეტს საკადრო საკითხებს;

— იღებს გადაწყვეტილებებს და გამოსცემს განკარგულებებს.

5) სამანდატო სარევიზიო და დროებითი კომისიები

საკრებულო პირველ სხდომაზე წევრთა შემადგენლობიდან თავისი უფლებამოსილების ვადით ირჩევს სამანდატო და სარევიზიო კომისიებს.

სარევიზიო კომისია აკონტროლებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებას, ამოწმებს გამგეობის და ადგილობრივი მმართველობის თანამდებობის პირთა საფინანსო საქმიანობას.

საკრებულოს შეუძლია შექმნას დროებითი კომისიები. მათ შემადგენლობაში დასაშვებია ისეთი პირების შეყვანა, რომელნიც საკრებულოს წევრები არ არიან.

**მუხლი 6. საზოგადოებრივ-ტერიტორიული თვითმმართველობა**

საზოგადოებრივ თვითმმართველობაში სოფლის (დაბის, თემის) მოსახლეობა მონაწილეობს საერთო კრებებისა და უშუალო თუ წარმომადგენლობითი დემოკრატიის სხვა ფორმებით.

ქალაქებში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელების ორგანოებია მიკრორაიონებისა და საცხოვრებელი კომპლექსების საზოგადოებრივი საბჭოები, საბინაო კომიტეტები და მოსახლეობის თვითორგანიზაციის სხვა საზოგადოებრივი ფორმები.

საზოგადოებრივ-ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა ხორციელდება შესაბამისი საკრებულოს მიერ რეგისტრირებული წესდების (დებულების) შესაბამისად. საზოგადოებრივ-ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოებს დადგენილი წესით შეიძლება მიეცეთ იურიდიული პირობის უფლება.

## თავი II

### ადგილობრივი მმართველობის ეკონომიკური საფუძვლები

**მუხლი 7.** ადგილობრივი მმართველობის ეკონომიკური საფუძვლები

ადგილობრივი მმართველობის ეკონომიკური საფუძველია საკრებულოს ტერიტორიის ბუნებრივი რესურსები (მიწა, მისი წიაღი, წყალი, ტყე, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო), ადგილობრივი და სხვა სახის საკუთრება, რომელიც ადგილობრივი მმართველობის შემოსავლის წყარო და შესაბამისი ტერიტორიის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებაა.

ადგილობრივი მმართველობის უფლება ბუნებრივ რესურსებზე და ობიექტებზე, რომლებიც არ განეკუთვნებიან ადგილობრივ საკუთრებას, განისაზღვრება მოცემული კანონითა და საქართველოს რესპუბლიკის და ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით.

**მუხლი 8.** ადგილობრივი საკუთრება

ადგილობრივი მეურნეობის საფუძველია ადგილობრივი საკუთრება. მისი მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებას საკრებულოს ტერიტორიის მოსახლეობის სახელით ახორციელებს შესაბამისი მმართველობის ორგანო ან ის იურიდიული და ფიზიკური პირნი, რომელთაც მიეცემათ ამის უფლება.

ადგილობრივი საკუთრება შეიძლება იყოს: კომუნალური საბინაო ფონდი და საბინაო-კომუნალური მეურნეობა; სატრანსპორტო საწარმოები, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები; სახალხო განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები; აგრეთვე მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის საწარმოო კომპლექსები და საწარმოები; ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები; ფასიანი ქაღალდები (აქციები, ობლიგაციები და ა. შ.), სამეცნიერო-ტექნიკური, ტექნოლოგიური და სხვა სახის ინფორმაცია და სხვა უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც აუცილებელია შესაბამისი მმართველობის წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად.

ადგილობრივ საკუთრებაში არსებული საწარმოების; ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობა განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით.

**მუხლი 9.** ადგილობრივი საკუთრების წარმოშობის საფუძვლები

ადგილობრივი საკუთრების უფლება წარმოიშობა:

— კანონით განსაზღვრული წესით ადგილობრივი მმართველობისათვის სახელმწიფო საკუთრების გადაცემით;





— ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ ახალი ობიექტების შექმნით ან შექმნით;

— ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ კანონით გათვალისწინებული გარიგებების დადების შემთხვევაში, აგრეთვე იმ გარიგებების საფუძველზე, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კანონით, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას;

— იმ ხდომილებათა შედეგად, რომელთაც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა უკავშირებს სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების წარმოშობას (მოქალაქის გარდაცვალების, მმართველობის ორგანოებისა და მისი ბენეფიციარების გადაცემის შემთხვევებში და სხვა).

**მუხლი 10.** ადგილობრივი მეურნეობა

ადგილობრივ მეურნეობას შეადგენს ქვემდებარე ტერიტორიაზე განლაგებული იმ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების ერთობლიობა რომელთა დანიშნულებაა ადგილობრივი მოსახლეობის საწარმოო საჭიროებებისა და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მისი საფუძველი ადგილობრივი საკუთრება;

ადგილობრივ მეურნეობაში შეიძლება შევიდეს აგრეთვე სხვა სახის საკუთრების ობიექტები, ნებაყოფლობით საფუძველზე.

ადგილობრივ მეურნეობაში შეიძლება შევიდეს:

საბინაო-კომუნალური მეურნეობის, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო სამშენებლო, კავშირგაბმულობის, სამედიცინო, განათლების, კულტურის, საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო, სარემონტო-სამშენებლო, ბუნების დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, სპორტული, რეკრეაციული და სხვა საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები.

**მუხლი 11.** მმართველობის ეკონომიკური კომპეტენცია

ადგილობრივი მეურნეობის ყაირათიანი გაძლოლისათვის მმართველობის ორგანოებს აქვთ სათანადო უფლებები და აკისრიათ მოვალეობები, რომელთა ერთობლიობა შეადგენს მათ ეკონომიკურ კომპეტენციას.

1) მმართველობის ორგანოს უფლება აქვს:

შექმნას საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები;

გაასხვისოს, იჯარით გასცეს, გადასცეს სრულ სამეურნეო გამგებლობაში ან ოპერატიულ მართვაში ადგილობრივი საკუთრების ობიექტები, განახორციელოს რეპრივატიზაცია;

წაახალისოს, დაუწესოს შეღავათები საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ქვემდებარე ტერიტორიაზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებას;

დააწესოს ქვემდებარე ტერიტორიაზე გარემოს დაცვის დამატებითი მოთხოვნები, შეაჩეროს ან აკრძალოს იმ ობიექტების ექსპლუატაცია ან მშენებლობა, რომელთა ეკოლოგიური უსაფრთხოება არ არის უზრუნველყოფილი და სახიფათოა მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის;



ადგილობრივი მმართველობის შეკვეთებზე ხელშეკრულებების დადებისას უპირატესობა მიანიჭოს ადგილობრივი საკუთრებისა და ადგილობრივი მეურნეობის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს;

კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში გააკონტროლოს და მოაწესრიგოს ქვემდებარე ტერიტორიაზე მომსახურებისა და საქონლის რეალიზაციის ფასები; გაატაროს ანტიმონოპოლიური ღონისძიებები;

დადოს ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებები და შეთანხმებები სხვა ადგილობრივ მმართველობებთან, საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან;

მონაწილეობა მიიღოს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

2) ადგილობრივი მმართველობის ორგანო მოვალეა:

რეგისტრაციაში გაატაროს საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები. საწარმოების რეგისტრაციის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით.

იზრუნოს მოცემული ტერიტორიის ეკონომიკური, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვაზე. ამ მიზნით იგი:

უქმნის ხელსაყრელ პირობებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო დაწესებულებების განვითარებას;

აწესებს საავტორო, კვების, საყოფაცხოვრებო და სატრანსპორტო მომსახურების, კულტურის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, საბავშვო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ მოსახლეობის მომსახურების ხელსაყრელ პირობებს;

განახორციელებს ქვემდებარე ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი სიმდიდრეების საკადასტრო აღრიცხვას, საწარმოო-სამეურნეო და სხვა სახის ობიექტების ეკონომიკურ-ეკოლოგიურ ინვენტარიზაციას;

ხელს უწყობს მოქალაქეებს ტრადიციული მეწარმეობის განვითარებაში, ადგილობრივი მმართველობის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს — მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებასა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში.

ადგილობრივი მმართველობის ორგანო: ან მისი თანამდებობის პირის მითითების შესრულების, აგრეთვე, ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მიერ თავისი მოვალეობების არასათანადოდ შესრულების შედეგად მოქალაქეების, საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისათვის მიყენებული ზარალი უნდა აანაზღაუროს ამ მმართველობის ორგანომ, ან იმ ორგანოს თანამდებობის პირმა, ვისი მიზეზითაც მიყენებულია ზარალი. ზარალის ანაზღაურების საკითხზე წამოჭრილ დავას წყვეტენ სასამართლო ან არბიტრაჟის ორგანოები კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 12.** ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ურთიერთობა იმ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან, რომლებიც არ წარმოადგენენ ადგილობრივ საკუთრებას



ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ურთიერთობა იმ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან, რომლებიც არ წარმოადგენენ ადგილობრივ საკუთრებას, წესრიგდება მათთან დადებული ხელშეკრულებებით ან ემყარება კანონმდებლობით განსაზღვრულ საგადასახადო საფუძველს.

**მუხლი 13.** ადგილობრივი მმართველობის ფინანსური ბაზა

ადგილობრივი მმართველობის საქმიანობის ფინანსური ბაზაა ადგილობრივი მმართველობის ფინანსები.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოები თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადგილობრივი ფინანსების საშუალებით მოცემულ ტერიტორიაზე წყვეტენ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ამოცანებს.

**მუხლი 14.** ადგილობრივი ფინანსური სისტემა

ადგილობრივ ფინანსურ სისტემას შეადგენენ: ადგილობრივი ბიუჯეტი, ბიუჯეტგარეშე სახსრები, ადგილობრივი მნიშვნელობის სპეციალური ფონდები, ადგილობრივი მმართველობის საკუთრების საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსები; აგრეთვე საწარმოების, ორგანიზაციებისა და კერძო პირების ნებაყოფლობითი შენატანები, რომლებიც გამოყენებული იქნება მოცემული ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

**მუხლი 15.** ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები

ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები იქმნება მოცემულ ტერიტორიაზე მყოფი საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, მოსახლეობის გადასახადისაგან და გადაიხდება საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო კანონის შესაბამისად, აგრეთვე, სხვა შემოსავლისა და შენატანებისაგან, რომლებიც მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებების შესაბამისად ამოიღება (გადაეხდებიან) ზემდგომი ბიუჯეტებიდან მიღებული სესხებიდან, ღოტაციებიდან, სუბვენციებიდან, საბანკო კრედიტებიდან.

ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან ადგილობრივ ბიუჯეტში განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი სტაბილური ნორმატივებით.

ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალში ჩაირიცხება ადგილობრივ მეურნეობაში შემავალი საწარმოების, დაწესებულებების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების გადასახადები და ჯარიმები, შემოსავალი მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ქონების რეალიზაციიდან და არენდიდან, კოლექტიური მეურნეობების საშემოსავლო, სარეწაო, საკურორტო, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო საშუალებათა და თვითმავალი მექანიზმების, შენობის მფლობელთა და მიწის გადასახადები, სატყეო შემოსავალი, სახელმწიფო ბაჟი და სხვა შემოსავლები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებში ჩაირიცხება ნაწილი ანარიცხებისა სახელმწიფო გადასახდელებიდან და შემოსავლებიდან: ბრუნვის გადასახადიდან, მოსახლეო-



ბის საშემოსავლო გადასახადიდან, ქვემდებარე ტერიტორიაზე განლაგებული იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგების გადასახადიდან, რომლებიც არ შედიან ადგილობრივ მეურნეობაში, და სხვა შემოსავლები.

საქალაქო და რაიონული ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს შეუძლიათ შექმნან ბიუჯეტგარეშე სახსრები: საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, კოოპერატივებისა და მოსახლეობის ნებაყოფლობითი შენატანებიდან, ადგილობრივი მნიშვნელობის სესხების ობლიგაციების რეალიზაციიდან. ქვემდებარე ტერიტორიაზე განხორციელებული ეკონომიკური, სოციალური ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავლებიდან, მათ მიერ დაწესებული სხვადასხვა გადასახადიდან, საქველმოქმედო შემოწირულობებიდან.

**მუხლი 16.** ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები გამოიყენება განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ფიზიკური კულტურის, სპორტის სფეროში, ადგილობრივი მეურნეობის განვითარებისათვის, ეკოლოგიური გაჯანსაღებისათვის და სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შენახვაზე, საბანკო კრედიტისა და სხვა სესხების დასაფარავად, თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოებისათვის საბიუჯეტო სესხის, დოტაციების, სუბვენციებისა და სუბსიდიებისათვის, აგრეთვე სხვა ღონისძიებებისათვის, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებას.

**მუხლი 17.** ადგილობრივი მმართველობის სავალუტო ფონდი

ადგილობრივი მმართველობის ორგანოები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად ქმნიან სავალუტო ფონდებს მათ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების და ორგანიზაციების ვალუტის შემოსავლიდან.

**მუხლი 18.** ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სავადასახადო უფლებები

ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად შეუძლიათ დააწესონ ან გააუქმონ ადგილობრივი გადასახადები და შენატანები.

**მუხლი 19.** ურთიერთობა რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის

ურთიერთობა რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის რეგულირდება საქართველოს რესპუბლიკის კანონით საბიუჯეტო უფლებებისა და გადასახადების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბამსახურიძე.



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

**14** „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“ სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 29 იანვარი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**15** საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სისტემის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

I. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებანი:

1. მე-2 მუხლში სიტყვების „სახალხო დეპუტატთა საბჭოების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების — საკრებულოებისა და უზენაესი საბჭოების“.

2. მე-6 მუხლში:

სიტყვა „საქართველოს“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „რესპუბლიკის“;

სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოებში“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში“.

3. მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„დაუშვებელია ისეთი პარტიების, ორგანიზაციებისა და მოძრაობების შექმნა და საქმიანობა, რომელთა მიზანია რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების ძალადური შეცვლა, რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, მისი უშიშროებისათვის ძირის გამოთხრა, ეროვნული და რელიგიური შუღლის გაღვივება“.



4. 27-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „საბჭოთა“, 38-ე მუხლიდან — სიტყვა „სოციალისტური“ და 59-ე მუხლის მეორე ნაწილიდან — სიტყვა „სახელმწიფო“.

5. 46-ე მუხლში:

მე-2 ნაწილში სიტყვები „სახალხო დემუტატთა საბჭოებსა“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა“;

მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 ნაწილები:

„საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში დემუტატთა არჩევის უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს, რომელიც მუდმივად ცხოვრობს შესაბამისი ორგანოს ტერიტორიაზე.“

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს უფლება აქვს არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად“.

6. მე-8 თავის სათაურიდან და 79-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საბჭოთა სოციალისტური“.

7. მე-4 კარის დასათაურებაში სიტყვები „სახალხო დემუტატთა საბჭოები“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები“, ხოლო მე-10 თავის სათაურში სიტყვები „სახალხო დემუტატთა საბჭოების“ — სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების“.

8. 85-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოები, რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის, თემის, დაბისა და სოფლის საკრებულოები შეადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების სისტემას“.

9. 86-ე მუხლში:

პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების უფლებამოსილების ვადა 5 წელია, ხოლო საკრებულოებისა — 3 წელი“;

მე-2 და მე-3 ნაწილებში სიტყვები: „ადგილობრივ საბჭოებში სახალხო დემუტატთა“ შეიცვალოს სიტყვებით „საკრებულოებში დემუტატთა“.

10. 87-ე მუხლში:

1-ლი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის უმნიშვნელოვანესი საკითხები წყდება შესაბამისად უზენაესი საბჭოებისა და საკრებულოების სესიებზე.“

უზენაესი საბჭოები ირჩევენ უზენაესი საბჭოების თავმჯდომარეებს, ხოლო საკრებულოები — მდივნებს. უზენაეს საბჭოებს აქვთ თავიანთი პრეზიდენტები“;

მე-3 ნაწილში სიტყვები „სახალხო დემუტატთა საბჭოები“ შეიცვალოს სიტყვებით „უზენაესი საბჭოები“;



მე-4 ნაწილში სიტყვები „სახალხო დემუტატთა საბჭოების“ შეიცვალა სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების“.

11. 88-ე მუხლში სიტყვები „სახალხო დემუტატთა საბჭოები“ შეიცვალა სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები“.

12. 89-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები უშუალოდ და მათ მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით ხელმძღვანელობენ თავიანთ ტერიტორიებზე სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველ სფეროს, იღებენ გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფენ მათ შესრულებას კონტროლს უწყვენ ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებას“.

13. 90-ე მუხლში სიტყვები „სახალხო დემუტატთა საბჭოების“, „საბჭოების“, „სახალხო დემუტატთა საბჭოები“ შეიცვალა სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების“, „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები“ ხოლო სიტყვა „კოლექტიური“ — სიტყვით „კოლევითი“.

14. 91-ე, 92-ე, 93-ე, 94-ე, 95-ე, 96-ე, 97-ე მუხლებიდან და მე-12 თავის სათაურიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სახალხო“.

15. 92-ე მუხლში:

მე-2 ნაწილში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების“ შეიცვალა სიტყვით „საკრებულოების“;

მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე არ შეიძლება ერთდროულად იყოს სახელმწიფო ხელისუფლების ორზე მეტი ორგანოს წევრი“;

მე-4 ნაწილში სიტყვები „ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შემადგენლობაში, ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების უწყებათა“ შეიცვალა სიტყვებით „საკრებულოების აღმასრულებელი ორგანოების შემადგენლობაში, გარდა ვამეოების თავმჯდომარისა (ვამგებლისა), პრეფექტურის უწყებათა“; სიტყვებს „ვენერალური პროკურორი“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „მისი მოადგილეები“; სიტყვები „სახალხო დემუტატთა საბჭოების“ შეიცვალა სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების“.

16. 99-ე მუხლში:

პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„დემუტატები ხალხის სრულუფლებიანი წარმომადგენლები არიან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში“;

მე-2 ნაწილში სიტყვები „საბჭოების“ შეიცვალა სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების“ და „ამ ორგანოების“.

17. მე-100 და 101-ე მუხლებში სიტყვები „ადგილობრივი საბჭოს“ და „სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოს“ შეიცვალა სიტყვით „საკრებულოს“.

18. 103-ე მუხლში სიტყვები „სახალხო დემუტატთა საბჭოს“ და „საბჭოს“ შეიცვალა სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს“.

19. 104-ე მუხლში:



მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„შეწყვეტს საკრებულოების უფლებამოსილებას“;

26-ე პუნქტში სიტყვები „სახალხო დემუტატთა რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების“ შეიცვალოს სიტყვებით „რაიონის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის საკრებულოების“;

27-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დემუტატთა არჩევნებს და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დემუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობას, ნიშნავს საკრებულოებში დემუტატთა არჩევნებს“.

20. 111-ე მუხლსა და 119-ე მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვები „სახალხო დემუტატთა რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების“ შეიცვალოს სიტყვებით „რაიონის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების საკრებულოების“.

21. 113-ე მუხლში:

მე-4 პუნქტში სიტყვა „დემუტატებს“ შეიცვალოს სიტყვით „წევრებს“;

მე-5 პუნქტში სიტყვები „ადგილობრივი საბჭოების“ შეიცვალოს სიტყვებით „საკრებულოებში“;

მუხლს დაემატოს შემდეგი პუნქტები:

„19) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს პრეფექტს;

20) აუქმებს პრეფექტის განკარგულებებსა და ბრძანებებს“.

22. 115-ე მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს სიტყვები „ხოლო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს — პრეფექტის თანამდებობაზე დასანიშნად“.

23. 118-ე მუხლში:

ა) მე-3 ნაწილში სიტყვების „სესიებს შუა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და სესიის სხდომებს შუა“;

ბ) ამავე ნაწილს დაემატოს სიტყვები „გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უზენაესი საბჭოს წევრი დაკავებულ იქნა დანაშაულის ჩადენის ადგილზე“.

24. 128-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს აქვს უფლება თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეაჩეროს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებისა და განკარგულებების, აგრეთვე პრეფექტების განკარგულებებისა და ბრძანებების შესრულება“.

25. 135-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვთ შეაჩერონ პრეფექტების განკარგულებები და ბრძანებები“.

26. მე-17 თავი დასათაურდეს შემდეგნაირად: „სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები“.





27. 138-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „საკრებულოები წყვეტენ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს საერთო-სახელმწიფო ინტერესებისა და საკრებულოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა ინტერესების შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე; მონაწილეობენ რესპუბლიკური და საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საკითხების განხილვაში, შეაქვთ მათ შესახებ წინადადებანი“.

28. 137-ე, 138-ე, 139-ე, 140-ე, 141-ე და 154-ე მუხლებში სიტყვები „სახალხო დემუტატთა საბჭოები“ და „სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოები“ შეიცვალოს სიტყვით „საკრებულოები“, ხოლო 140-ე და 141-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის“.

29. ამოღებულ იქნეს: 140-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 141-ე მუხლის პირველი ნაწილი, მეორე ნაწილის მე-2 წინადადება და მე-3 ნაწილი; 143-ე და 144-ე მუხლები — მთლიანად.

30. 142-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საკრებულოსა და მისი ორგანოების უფლებამოსილებასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს კანონი ადგილობრივი მმართველობის შესახებ და მის საფუძველზე შემუშავებული რეგლამენტი, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი პრეფექტი“.

31. მე-18 თავი დასათაურდეს შემდეგნაირად:

„სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები“.

32. 145-ე, 146-ე, 147-ე, 148-ე, 149-ე და 150-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

**„მუხლი 145.** რაიონსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქში სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოა პრეფექტურა, რომელსაც პრეფექტი მეთაურობს, ხოლო ქალაქებში, ქალაქის რაიონებში, თემებში, სოფლებსა და დაბებში — გამგეობა ან გამგებელი.

**მუხლი 146.** პრეფექტი რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების უმაღლესი თანამდებობის პირია.

პრეფექტი ანგარიშვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წინაშე, ხოლო გამგეობა და გამგებელი — შესაბამისი საკრებულოს და პრეფექტის წინაშე.

პრეფექტის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი. ერთი და იგივე პირი შეიძლება დაინიშნოს პრეფექტად არა უმეტეს ზედიზედ ორი ვადისა.

**მუხლი 147.** სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ხელმძღვანელობენ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას შესაბამის ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ზემდგომი ორგანოების და საკრებულოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

**მუხლი 148.** თავისი კომპეტენციის ფარგლებში პრეფექტი გამოსცემს განკარგულებებსა და ბრძანებებს, ხოლო გამგეობა (გამგებელი) იღებს გადაწყვეტილებებსა და გამოსცემს განკარგულებებს.



**მუხლი 149.** პრეფექტს უფლება აქვს გააუქმოს შესაბამისი საკრებულოების, აგრეთვე ადგილობრივი მმართველობის ქვემდგომი ორგანოების აქტები, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას.

**მუხლი 150.** სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სტრუქტურას და ქვედანაყოფების შექმნის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა“.

33. ამოღებულ იქნეს 151-ე მუხლი.

34. 176-ე მუხლში სიტყვები „სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების“.

II. ეს კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია**.

თბილისი, 1991 წლის 29 იანვარი.

### საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## **16** საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნების შესახებ

### I. ზოგადი დებულებები

**მუხლი 1.** არჩევნების საფუძვლები

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში — ქალაქის (გარდა რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა), ქალაქის რაიონის, დაბისა და სოფლის საკრებულოებში — დემუტატების არჩევნები ეწყობა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ხოლო რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ზონისა და რაიონის საკრებულოებში — შესაბამისად ქალაქის რაიონების საკრებულოების, ქალაქის ზონისა და რაიონის ქალაქების, დაბებისა და სოფლების საკრებულოების მიერ ფარული კენჭისყრით.

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დემუტატები აირჩევიან 3 წლის ვადით. ქალაქის (გარდა რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა), ქალაქის რაიონის, დაბისა და სოფლის საკრებულოებში დემუტატების არჩევნები ეწყობა მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით, ხოლო რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემ-



დებარების ქალაქის, ქალაქის ზონისა და რაიონის საკრებულოებში ბამისად ქალაქის რაიონების საკრებულოების, ქალაქის ზონისა და რაიონულ დაქვემდებარების ქალაქების, დაბებისა და სოფლების საკრებულოების მიხედვით პროპორციული წარმომადგენლობისა და ერთადერთი გადასაცემი ხმის სისტემის საფუძველზე.

**მუხლი 2.** საყოველთაო საარჩევნო უფლება

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატების არჩევნებში საყოველთაოა: არჩევნის უფლება აქვს შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდა, ხოლო არჩეული შეიძლება იყოს საქართველოში მუდმივად მცხოვრები ან მუდმივი საცხოვრებლის მქონე საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდა და საქართველოში მუდმივად უცხოვრობდა არანაკლებ 1 წლისა, წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, პოლიტიკური შეხედულებების, სარწმუნოების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის მიუხედავად.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე არ შეიძლება ერთდროულად იყოს ხელისუფლების ორზე მეტი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი.

ის პირი, რომლებიც მსახურობენ ისეთ სამხედრო ან გასამხედროებულ შენაერთებში, რომლებიც არ ექვემდებარებიან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების იურისდიქციას, არ მონაწილეობენ საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნებში.

არჩევნებში არ მონაწილეობენ ფსიქიკურად დაავადებული მოქალაქენი, რომლებიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო, აგრეთვე ის პირნი, რომლებიც სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის ადვილას იმყოფებიან.

**მუხლი 3.** თანასწორი საარჩევნო უფლება

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნები თანასწორია: ყოველ ამომრჩეველს ერთი ხმა აქვს; საქართველოს მოქალაქენი არჩევნებში თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ.

**მუხლი 4.** პირდაპირი საარჩევნო უფლება

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში (გარდა რაიონული და ყოველ დღის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის, რესპუბლიკური და ქვემდებარების ქალაქის ზონისა და რაიონის საკრებულოებისა) დეპუტატთა არჩევნები პირდაპირია: საკრებულოებში დეპუტატებს ამომრჩევლები უშუალოდ ირჩევენ.

**მუხლი 5.** ფარული კენჭისყრა

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნები ფარული კენჭისყრით ტარდება: კონტროლი ამომრჩეველთა ნების გამოვლინებასადმი დაუშვებელია.

**მუხლი 6.** არჩევნების ჩატარება საარჩევნო კომისიების მიერ

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც იქმნება საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების

ციებისა და მოძრაობების, შრომითი კოლექტივების, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების, ამომრჩეველთა ჯგუფების წარმომადგენლებისაგან.

**მუხლი 7.** მოქალაქეთა, მათ გაერთიანებათა, შრომით კოლექტივთა, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების მონაწილეობა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობენ როგორც პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, შრომითი კოლექტივების, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების მეშვეობით, ისე უშუალოდაც

პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოძრაობები, შრომითი კოლექტივები, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივები მონაწილეობენ საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში როგორც საარჩევნო კომისიებში თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით, ისე უშუალოდაც.

**მუხლი 8.** საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ პარტიებს (პოლიტიკურ ორგანიზაციებს, მოძრაობებს, კავშირებს და ა. შ. — ტექსტში შემდგომ — „პარტიებს“), რომელთა მოქმედება ვრცელდება საქართველოს, შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის ან შესაბამისი რეგიონის მიუღ ტერიტორიაზე, მათ გაერთიანებებს — საარჩევნო ბლოკებს და ამომრჩეველთა ჯგუფებს განცხადების წარდგენის გზით.

**მუხლი 9.** საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოს წევრის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან

ის პირნი, რომლებიც შედიან საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოების შემადგენლობაში, მათი მოადგილეები, საქართველოს, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის მმართველობის სხვა რესპუბლიკურ ორგანოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, პირნი, რომლებიც შედიან საკრებულოთა გამგეობების შემადგენლობაში (გარდა გამგეობების თავმჯდომარეებისა), პრეფექტები, პრეფექტურების ხელმძღვანელი თანამდებობის პირები, მართლმსაჯულების ორგანოებში არჩეული პირები, საქართველოს, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის მთავარი სახელმწიფო არბიტრები და სახელმწიფო არბიტრები, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი, მისი ქვემდგომი პროკურორები და მათი მოადგილეები, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები არ შეიძლება იმავდროულად იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების წევრები.



**მუხლი 10.** არჩევნების მატერიალური უზრუნველყოფა, არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯები, საარჩევნო ფონდი

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს. ამ ხარჯების სავარაუდო ოდენობას ყოველი საკრებულოს მიხედვით განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც არჩევნების დამთავრებიდან ორი თვის ვადაში ადგენს მათ ფაქტობრივ ოდენობასაც. არჩევნების დამთავრების შემდეგ მას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

საკრებულოებში არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განსაზღვრული თანხის გამოყოფასა და კომისიის ანგარიშზე მის ჩარიცხვას ახორციელებს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო არჩევნებამდე არა უგვიანეს 45 დღისა.

ამასთან ერთად, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებს, საარჩევნო ბლოკებსა და დამოუკიდებელ კანდიდატებს შეუძლიათ შექმნან რაიონული და საქალაქო საარჩევნო ფონდები, რისთვისაც მათ უფლება აქვთ გამოიყენონ თავისი სახსრები, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა, შრომით კოლექტივთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოძრაობათა შეწირულობანი. აღნიშნული მიზნით თავისი სახსრების გამოყენების თაობაზე შრომითი კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოძრაობები იღებენ გადაწყვეტილებას.

საარჩევნო ფონდისათვის განკუთვნილი თანხა ჩაირიცხება არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკის, დამოუკიდებელი კანდიდატის ანგარიშსწორების ანგარიშზე, რომელიც იხსნება საქართველოს ბანკში (მათ შესაბამის განყოფილებებში) ტერიტორიულ საარჩევნო კომისიაში მათი რეგისტრირების შემდეგ.

თითოეული პარტიის, საარჩევნო ბლოკისა და დამოუკიდებელი კანდიდატის საარჩევნო კამპანიისათვის საარჩევნო ფონდიდან დახარჯული თანხის ოდენობა მოცემული საკრებულოს ტერიტორიის მიხედვით არ უნდა აღემატებოდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შესაბამისი საკრებულოს არჩევნებისათვის ამ მიზნით განსაზღვრული თანხის გათხრეკებულ ოდენობას. საარჩევნო ფონდს განაგებს მისი გამგეობა ფონდის გამგებლის, საზინადარისა და მოლარის შემადგენლობით, რომელთაც ნიშნავს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის ხელმძღვანელი პირი, საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიების ხელმძღვანელი პირები, დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატი. საარჩევნო ფონდის გამგებელი პასუხისმგებელია ფონდის მიზნობრივი გამოყენების სისწორისა და გამგეობის მუშაობის ობიექტურობისათვის.

არჩევნების დამთავრების შემდეგ პარტიის საარჩევნო ფონდის ნაშთი ჩაირიცხება პარტიის შესაბამისი ორგანოს ანგარიშზე, საარჩევნო ბლოკისა — თანაბრად მასში შემავალი პარტიების შესაბამისი ორგანოების ანგარიშებზე, ხოლო დამოუკიდებელი კანდიდატისა — მისი განკარგულებით საქართველოს რომელიმე საკვლამოქმედო საზოგადოების ანგარიშზე.

არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების განაწილებისა და გამოყენების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნებამდე 35-45 დღით ადრე. ტერიტორიული და ადგილობრივი საარჩევნო კომისიებისათვის გამოყოფილი თანხა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მათ მიმდინარე ანგარიშებზე უნდა ჩარიცხოს არჩევნებამდე არა უგვიანეს 30 დღისა. აღნიშნული კომისიებისათვის მიმდინარე ანგარიშები იხსნება საქართველოს ბანკების ადგილობრივ განყოფილებებში კომისიებისათვის სახსრების გამოყოფის შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს ორი დღისა. საარჩევნო კომისიებისათვის გამოყოფილ სახსრებს კომისიის სახელით განაგებენ და დანიშნულებისამებრ მისი სწორად გამოყენებისათვის პასუხისმგებელნი და ანგარიშვალდებულნი არიან კომისიის თავმჯდომარე და ხაზინადარი. ტერიტორიული და ადგილობრივი საარჩევნო კომისიები შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე არჩევნების დამთავრებიდან არა უგვიანეს 3 კვირისა წყვეტენ ყოველგვარ ანგარიშსწორებას ორგანიზაციებთან და ცალკეულ პირებთან და ერთი კვირის ვადაში ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგენენ ანგარიშს მის მიერ დადგენილი ფორმით, ხოლო ორი კვირის ვადაში მის ანგარიშზე ჩარიცხავენ თავიანთ ანგარიშებზე არსებულ ნაშთს.

არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ არა უგვიანეს ერთი თვისა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საარჩევნო კომისიები და არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიები, საარჩევნო ბლოკები და საკრებულოების წევრებად არჩეული დამოუკიდებელი კანდიდატები აქვეყნებენ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი ფორმით.

არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ საარჩევნო ფონდების გამოყენების მართლზომიერებას აკონტროლებენ საარჩევნო კომისიები, ქვემდგომი საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯებისას — ცენტრალური საარჩევნო კომისია, ხოლო ამ უკანასკნელს — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები საარჩევნო კომისიების განკარგულებაში უფასოდ გადასცემენ არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო შენობებსა და მოწყობილობას.

მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო ორგანოები უფასოდ აქვეყნებენ საარჩევნო კომისიების მიერ წარდგენილ მასალებს, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამებსა და სხვა მასალებს ამ კანონით დადგენილ ფარგლებში.

**მუხლი 11.** საჯაროობა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებას ახორციელებენ საარჩევნო კომისიები ღიად და

საჯაროდ. საარჩევნო კომისიები მოქალაქეებს აცნობენ თავიანთ მუშაობას, საარჩევნო ოლქებისა და უბნების შექმნას, საარჩევნო კომისიების შემადგენლობას, ადგილსამყოფელს, მუშაობის დროს, ამომრჩეველთა სიებს, არჩევნების მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების ნუსხას, მათ მიერ წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატთა და დამოუკიდებელ კანდიდატთა სიებს, მათ საარჩევნო პროგრამებს, აწვდიან ცნობებს დეპუტატობის კანდიდატთა შესახებ, კენჭისყრისა და არჩევნების შედეგებს.

საარჩევნო კომისიების სხდომებზე და ხმის მისაცემ შენობებში დასწრების უფლება აქვთ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების პასუხისმგებელ წარმომადგენლებს, პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატების თითო ნდობით აღჭურვილ პირს, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებს, ხოლო არჩევნების დღეს ხმის მისაცემ შენობებში, საარჩევნო ყუთების დალუქვიდან არჩევნების შედეგების შეჯამების დამთავრებამდე — დეპუტატობის კანდიდატების, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების თითო წარმომადგენელსაც.

წარმომადგენელთა უფლებამოსილება დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი საბუთით ან დეპუტატობის კანდიდატისა და არჩევნების მონაწილე პარტიის (საარჩევნო ბლოკის) პასუხისმგებელი წარმომადგენლის წარდგინებით. წარდგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს სხდომამდე არა უგვიანეს ორი დღისა. საარჩევნო კომისიამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს 24 საათის განმავლობაში. უარის თქმის შემთხვევაში საარჩევნო კომისია იძლევა დასაბუთებულ წერილობით პასუხს, რომლის გასაჩივრებაც შეიძლება შემდგომ საარჩევნო კომისიაში.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აშუქებენ საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მიმდინარეობას. მათთვის გარანტირებულია შეუფერხებელი დასწრება არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა კრებასა და სხდომაზე. საარჩევნო კომისიები, არჩევნების მონაწილე პარტიები, საარჩევნო ბლოკები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, შრომითი კოლექტივები აწვდიან მათ არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საშუალება ეძლევა ყოველ დღით საქართველოს რადიოთი და ყოველ საღამოს საქართველოს ტელევიზიით, ხოლო ტერიტორიულ და ადგილობრივ საარჩევნო კომისიებს — ყოველ დილა-საღამოს ადგილობრივი ქსელით გადასცენ ოპერატიული ინფორმაცია. ინფორმაციას გადასცემს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე ან კომისიის მიერ ამ მიზნით საგანგებოდ დანიშნული პირი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომების ანგარიშებს, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს სისტემატურად აქვეყნებენ რესპუბლიკური გაზეთები, ხოლო მისი ქვემდგომი საარჩევნო კომისიებისას — შესაბამისი რაიონული (საქალაქო) გაზეთები.

## **მუხლი 12.** პასუხისმგებლობა არჩევნების შესახებ კანონის დარღვევისათვის

იმ პირებს, რომლებიც ძალადობით, მოტყუებით, მუქარით, მოსყიდვით ან სხვა გზით ხელს უშლიან იმას, რომ საქართველოს მოქალაქემ თავისუფლად განახორციელოს თავისი უფლება — აირჩიოს და იყოს არჩეული დეპუტატად საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში, ეწეოდეს წინასაარჩევნო აგიტაციას, ერევნიან საარჩევნო კომისიების მუშაობაში და ხელს უშლიან საარჩევნო უბნებში ხმის მიცემას, კანდიდატის რეგისტრაციასთან, ხმების დათვლასა და არჩევნების შედეგების დადგენასთან დაკავშირებული მოვალეობის შესრულებას, აქვეყნებენ ან სხვა საშუალებით ავრცელებენ დეპუტატობის კანდიდატის პატივისა და ღირსების შემლახავ ცნობებს ან აგიტაციას ეწევიან არჩევნების დღეს, აგრეთვე საარჩევნო კომისიების წევრებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების თანამდებობის პირებს, რომლებმაც გააყალბეს საარჩევნო დოკუმენტები, განზრახ არასწორად დათვალეს ხმები, დაარღვიეს ენქისურის საიდუმლოება, საარჩევნო კომისიებს არ წარუდგინეს საჭირო მასალები და მონაცემები ან არ შეასრულეს მათი გადაწყვეტილებები, ეკისრებათ კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა.

იმ პარტიებს, საარჩევნო ბლოკებსა და დამოუკიდებელ კანდიდატებს, რომლებიც დაუშვებენ ამ კანონით დადგენილი საარჩევნო ფონდის ზღვრული ოდენობის გადამეტებას, ჩამოერთმევათ საქართველოს რესპუბლიკის შესაბამის საკრებულოში მათ მიერ მოზოგებული მანდატები და 4 წლით აეკრძალებათ შესაბამისი საკრებულოს არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატების წარდგენის უფლება, ხოლო დამოუკიდებელ კანდიდატს იმავე ვადით ჩამოერთმევა უფლება არჩეულ იქნეს შესაბამის საკრებულოში.

საქმეებს ზემოაღნიშნული დარღვევების შესახებ განიხილავს საქართველოს რესპუბლიკის ის სასამართლო, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც მოხდა კანონის დარღვევა. სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს უზენაეს სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

## **II. არჩევნების დანიშვნა**

### **არჩევნების მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია**

#### **მუხლი 13.** არჩევნების დანიშვნა

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მათი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს ოთხი თვისა. რესპუბლიკის ყველა საკრებულოს არჩევნები (გარდა რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ზონისა და რაიონის საკრებულოებისა) ერთდროულად ტარდება.

ცნობა არჩევნების დღის შესახებ ქვეყნდება რესპუბლიკურ და ადგილობრივ გაზეთებში არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 2 დღისა.





რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ზონის და რაიონის საკრებულოების არჩევნები ტარდება მათ ტერიტორიაზე ქალაქის რაიონების, ქალაქების დაბებისა და სოფლების საკრებულოების არჩევიდან არა უგვიანეს 2 თვისა.

**მუხლი 14.** არჩევნების მონაწილე პარტიების რეგისტრაცია

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატობის კანდიდატის წარდგენისა და საარჩევნო კომისიებში თავისი წარმომადგენლების დანიშვნის უფლების მისაღებად პარტიებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რისთვისაც არჩევნების დანიშვნიდან არა უადრეს მე-დღისა და არჩევნებამდე არა უგვიანეს 50 დღისა კომისიას უნდა წარუდგინოს პარტიის ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადება პარტიის წესდება-პროგრამა და მისი რეგიონალური ორგანიზაციების ნუსხა ინადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ჩამონათვალით, რომელთა ტერიტორიაზეც ვრცელდება მოცემული რეგიონალური ორგანიზაციის მოქმედება. განცხადებაში დასახელებული უნდა იყოს პარტიის პასუხისმგებელ წარმომადგენელი, მისი მისამართი და ტელეფონის ნომერი, რომელსაც ცენტრალური საარჩევნო კომისია აძლევს დათარიღებულ ცნობას განცხადების მიღების შესახებ.

განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს მე-3 დღისა კომისიამ რეგისტრაციაში უნდა გაატაროს პარტია და მისცეს სათანადო ცნობა მის წარმომადგენელს.

პარტიას უარი ეთქმევა რეგისტრაციაში გატარებაზე, თუ მისი წესდება პროგრამა ან საქმიანობა ეწინააღმდეგება პოლიტიკური პარტიებისათვის საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში პარტიას უფლება აქვს უარის მიღებიდან 3 დღის ვადაში გაასაჩივროს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში. სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს საჩივრის შეტანიდან 3 დღის ვადაში.

რეგისტრაციის ვადის დამთავრებიდან 2 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია რესპუბლიკურ ვაზეთებში აქვეყნებს რეგისტრირებული პარტიების სიას განცხადების წარდგენის რიგის მიხედვით, აგრეთვე იმ პარტიათ სიას, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე, და უარის თქმის მიზეზებს.

გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად არჩევნების ჩატარებისას მასში მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც საერთო არჩევნებისას რეგისტრირებულ პარტიებს, ასევე პარტიებს, რომლებიც ხელახალი არჩევნების ჩატარების შემდეგ რეგისტრაციას გაივლიან ამ კანონით დადგენილი წესით, აგრეთვე დამოუკიდებელ კანდიდატებს.

**მუხლი 15.** საარჩევნო ბლოკები. საარჩევნო ბლოკებისა და არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიების რეგისტრაცია

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულ პარტიებს ერთი და იმავე რაიონის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის და რესპუბ-

ლიკური დაქვემდებარების ქალაქის ზონის ფარგლებში უფლება აქვთ გაერთიანდნენ საარჩევნო ბლოკებად (ბლოკს შეიძლება ეწოდოს სახელი, რომელიც არ უნდა ემთხვეოდეს უფრო ადრე რეგისტრირებული ბლოკის სახელს), რომელთა რეგისტრებაც ტერიტორიული საარჩევნო კომისიების მიერ — რაიონის, რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ზონის ტერიტორიული საარჩევნო კომისიების — და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების (რომლებსაც არა აქვთ რაიონული დაყოფა ან არა აქვთ მიკუთვნებული დაბები და სოფლები) საქალაქო საარჩევნო კომისიების მიერ იწყება რეგისტრირებული პარტიების სიის გამოქვეყნების შემდეგ და მთავრდება არჩევნებამდე 35 დღით ადრე.

კომისიისათვის წარდგენილ სათანადო განცხადებას ხელს უნდა აწერდნენ ბლოკში შემავალი ყველა პარტიის ხელმძღვანელი პირი ან შესაბამისი რეგიონალური ორგანოების ხელმძღვანელი პირები. მასში დასახელებული უნდა იყოს ბლოკის პასუხისმგებელი წარმომადგენელი მოცემულ საარჩევნო კომისიაში, მისი მისამართი და ტელეფონის ნომერი. კომისია აძლევს პასუხისმგებელ წარმომადგენელს დათარიღებულ ცნობას განცხადების მიღების შესახებ.

განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში ტერიტორიული საარჩევნო კომისიები შესაბამისად რაიონულ და საქალაქო გაზეთებში აქვეყნებენ ცნობას საარჩევნო ბლოკების შექმნის შესახებ.

საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტია არ შეიძლება იმავდროულად გაერთიანებული იყოს სხვა საარჩევნო ბლოკში ანდა დამოუკიდებლად მონაწილეობდეს არჩევნებში ერთი და იმავე რაიონის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ტერიტორიაზე.

მოცემული საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკის პასუხისმგებელმა წარმომადგენელმა არჩევნებამდე არა უგვიანეს 30 დღისა შესაბამის საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს სათანადო განცხადება და ცნობა რეგისტრაციის შესახებ. განცხადებას ხელს უნდა აწერდნენ პარტიის ან შესაბამისი რეგიონალური ორგანოს ხელმძღვანელი პირი, ბლოკში შემავალი ყველა პარტიის ხელმძღვანელი პირი ან შესაბამისი რეგიონალური ორგანოების ხელმძღვანელი პირები. მასში დასახელებული უნდა იყოს პარტიის, ბლოკის პასუხისმგებელი წარმომადგენელი მოცემულ საარჩევნო კომისიაში, მისი მისამართი და ტელეფონის ნომერი, კომისია აძლევს პასუხისმგებელ წარმომადგენელს დათარიღებულ ცნობას განცხადების მიღების შესახებ.

საარჩევნო ბლოკში გაერთიანებულ პარტიას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გავიდეს ბლოკიდან. მას შეუძლია შექმნას ახალი საარჩევნო ბლოკი ან შეუერთდეს სხვა ბლოკს საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციის ვადის გასვლამდე ანდა საერთო არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ.

### III. საარჩევნო ოლქები, საარჩევნო უბნები და საარჩევნო ოლქის ნაწილები

#### მუხლი 16. საარჩევნო ოლქები

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში აირჩევა: არანაკლებ 15-ისა და არა უმეტეს 100 დეპუტატისა თბილისის საკრებულოებში, 75 დეპუტატისა

— რაიონის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ზონის საკრებულოებში, 50 დეპუტატისა — რაიონული დაქვემდებარების ქალაქის, ქალაქის რაიონის, დაბისა და სოფლის საკრებულოში.

ქალაქის (გარდა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა, რომლებსაც აქვთ რაიონული დაყოფა ან მიკუთვნებული აქვთ დაბები და სოფლები), ქალაქის რაიონის, დაბისა და სოფლის საკრებულოების ტერიტორიებზე იქმნება მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქები. ოლქში მანდატების რაოდენობა განისაზღვრება 3-5 მანდატით, დაბისა და სოფლის საკრებულოების საარჩევნო ოლქებში მანდატების რაოდენობა შეიძლება მეტიც იყოს.

ამ კანონით დადგენილი ნორმების ფარგლებში საკრებულოებში ასარჩევი დეპუტატების რაოდენობას ადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი შესაბამისი რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა და რაიონის ხელისუფლების ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოების წინადადებათა და მოსახლეობის რაოდენობის, ტერიტორიისა და სხვა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

რესპუბლიკის საკრებულოების ტერიტორიებზე საარჩევნო ოლქებს ქმნიან და მათში მანდატების რაოდენობას ადგენენ შესაბამისი ტერიტორიული საარჩევნო კომისიები, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში (რომლებსაც არა აქვთ რაიონული დაყოფა ან არა აქვთ მიკუთვნებული დაბები და სოფლები) კი — ცენტრალური საარჩევნო კომისია შესაბამისი ადგილობრივი საარჩევნო კომისიების წარდგინებით.

საარჩევნო ოლქების შექმნისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. მოცემული საკრებულოს ტერიტორიაზე საარჩევნო ოლქები ისე უნდა შეიქმნას, რომ დეპუტატის ერთ მანდატს მოსახლეობის დაახლოებით თანაბარი რაოდენობა შეესაბამებოდეს. საარჩევნო ოლქების საზღვრები ერთიმეორეს არ უნდა კვეთდნენ.

საარჩევნო კომისიები არჩევნებამდე არა უგვიანეს 35 დღისა შესაბამის ადგილობრივ გაზეთებში აქვეყნებენ საარჩევნო ოლქების სიას მათი საზღვრების მითითებით.

**მუხლი 17.** საარჩევნო უბნები

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების დროს კენჭისყრის მოსაწყობად და ხმების დასათვლელად საარჩევნო ოლქები იყოფა საარჩევნო უბნებად.

საარჩევნო უბნები შეიძლება შეიქმნას საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, ძნელად მისადგომ ადგილებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე, რომლებიც მიეკუთვნებიან საარჩევნო ოლქს გემის მიწერის ნავსადგურის ადგილის მიხედვით. საარჩევნო უბნები შეიძლება შეიქმნას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს დაწესებულებებშიც, რომელთა საარჩევნო ოლქისათვის მიკუთვნების საკითხს წყვეტს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

საარჩევნო უბნებს საარჩევნო ოლქების საზღვრების გათვალისწინებით მნიან ადგილობრივი საარჩევნო კომისიები ხელისუფლების ან მმართველობის შესაბამისი ადგილობრივი ორგანოების წარდგინებითა და მათთან შეთანხმებთ. არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე საარჩევნო უბნები იქმნება იმავე წესით გემის მიწერის ნავსადგურის ადგილის მიხედვით. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს დაწესებულებებში საარჩევნო უბნები იქმნება რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით.

საარჩევნო უბნები იქმნება არანაკლებ 20 და არა უმეტეს 3000 ამომრჩევლისათვის არჩევნებამდე არა უგვიანეს 35 დღისა. ძნელად მისადგომ რაიონებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე საარჩევნო უბნები იქმნება იმავე ვადაში, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში — არჩევნებამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

შესაბამისი საარჩევნო კომისია ადგილობრივ გაზეთებში უბნების შექმნიდან 2 დღის ვადაში აქვეყნებს საარჩევნო უბნების ნომრებს, საუბნო საარჩევნო კომისიებისა და ხმის მისაცემი შენობების მისამართებს.

#### **მუხლი 18.** საარჩევნო ოლქის ნაწილები

გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად არჩევნების ჩასატარებლად საარჩევნო ოლქი პირობითად იყოფა იმდენ ნაწილად, რამდენმანდატიანიცაა ოლქი. ყველა ნაწილში ამომრჩეველთა დაახლოებით თანაბარი რაოდენობა უნდა იყოს. თითოეული ნაწილი საარჩევნო უბანს მთლიანად უნდა მოიცავდეს და ბირჟით.

საარჩევნო ოლქს საერთო არჩევნებიდან ერთი თვის ვადაში ნაწილებად ყოფს შესაბამისი ადგილობრივი საარჩევნო კომისია და სათანადო მონაცემებს დაუყოვნებლივ წარუდგენს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელსაც, საქართველოს შემთხვევაში, შეუძლია საერთო არჩევნებიდან არა უგვიანეს 45 დღისა მასში შესწორებების შეტანა.

### **IV. საარჩევნო კომისიები**

#### **მუხლი 19.** საარჩევნო კომისიების სისტემა

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნებს ატარებენ:

- ა) საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია;
- ბ) ტერიტორიული საარჩევნო კომისიები — რაიონის, რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ზონის ტერიტორიული საარჩევნო კომისიები;
- გ) ადგილობრივი საარჩევნო კომისიები — ქალაქების (გარდა რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა) საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების საქალაქო, ქალაქის რაიონების საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების ქალაქის რაიონული, დაბების საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების სადაბო, სოფლების საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების სასოფლო საარჩევნო კომისიები;
- დ) საუბნო საარჩევნო კომისიები.

**მუხლი 20.** საარჩევნო კომისიების წევრობა

საარჩევნო კომისიის წევრად შეიძლება წარდგენილი იყოს საარჩევნო  
ლების მქონე საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე.

საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება დაინი-  
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, რესპუბლიკის საკრ-  
ლოში დეპუტატობის კანდიდატი, ნებისმიერი დონის საკრებულოს მდი-  
საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარე (გამგებელი) და მათი მოადგილე  
პრეფექტი და პრეფექტურის ხელმძღვანელი თანამდებობის პირები, არჩე-  
ბის მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკისა და დეპუტატობის კანდიდა-  
ნდობით აღჭურვილი პირი.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნისა და წე-  
უფლებამოსილება წყდება:

- ა) ამ მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულ საფუძველზე;
- ბ) გადადგომის შემთხვევაში;
- გ) გაწვევის ან უფლებამოსილების ჩამორთმევის შემთხვევაში.

**მუხლი 21.** საარჩევნო კომისიათა მუშაობის ორგანიზაცია

საარჩევნო კომისიების (გარდა ცენტრალური საარჩევნო კომისიისა) ც-  
მჯდომარეებსა და მდივნებს ირჩევენ შესაბამისი კომისიის სხდომაზე მისი  
ქმნისთანავე.

საარჩევნო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილე  
კომისიის შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი. კომისიის წევრ-  
სხდომაში მონაწილეობას ადასტურებენ დასწრების ფურცელზე ხელმოწერ-  
კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობ-  
ხმათა გაყოფისას თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტად ითვლება. კომისიის  
წევრებს, რომლებიც არ ეთანხმებიან კომისიის გადაწყვეტილებას, უფლ-  
აქვეთ გამოთქვან განსაკუთრებული აზრი, რომელიც წერილობითი ფორმ-  
ერთვის ოქმს და განსახილველად ეგზავნება ზემდგომ საარჩევნო კომისიას.

საარჩევნო კომისიას წარმოადგენს მისი თავმჯდომარე. თუ კომისიას თ-  
მჯდომარე არა ჰყავს ან მას არ შეუძლია თავისი ფუნქციების შესრულება, თ-  
მჯდომარის მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე.

საარჩევნო კომისიის ნებისმიერი ორი წევრი არჩევნების მომზადებისა  
ჩატარების მთელი დროის განმავლობაში, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისი-  
დანარჩენი წევრები არჩევნების მომზადების პერიოდის ბოლო 10 დღის გ-  
მავლობაში კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება ვათავისუფლდნენ საწო-  
მთო თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან. ამასთან, მათ არჩე-  
ნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრებიდან დაენიშნებათ ხელფასი ა-  
უმცირეს მათი საშუალო ხელფასისა. არასამუშაო დროის განმავლობაში კ-  
მისიაში შესრულებული სამუშაო მის წევრებს აუნაზღაურდებათ ცენტრალურ  
საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი ოდენობით არჩევნების ჩასატარებლ-  
გამოყოფილი სახსრებიდან.

საარჩევნო კომისიებისათვის გამოყოფილ სახსრებს კომისიის სახელი  
განაგებენ და დანიშნულებისამებრ მისი სწორად გამოყენებისათვის პასუხი



ებელნი და ანგარიშვალდებულნი არიან კომისიის თავმჯდომარე და ხაზინა-  
არი.

საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შემავალ პირთ უფლება არა აქვთ  
ინაწილეობა მიიღონ აგიტაციაში არჩევნების მონაწილე პარტიებისა და დე-  
პუტატების კანდიდატების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

**მუხლი 22.** საარჩევნო კომისიათა სამუშაო ჯგუფები  
არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური  
ზრუნველყოფის მიზნით ყოველ საარჩევნო კომისიასთან, გარდა საუბნოსი,  
მიიღება შეიქმნას სამუშაო ჯგუფები. სამუშაო ჯგუფების წევრებს, მათ შო-  
ის კომისიის ხაზინადარს, შესაბამისი საარჩევნო კომისიის წინადადებით ნიშ-  
ნენ ტერიტორიული საარჩევნო კომისიები.

შესაბამისი საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით სამუშაო ჯგუფების  
წევრებს აუნაზღაურდებათ მათ მიერ შესრულებული სამუშაო.

**მუხლი 23.** საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია  
საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების არჩევნებს ხელმძღვანე-  
ლობს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალუ-  
რი საარჩევნო კომისია.

საკრებულოების არჩევნებისას ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემად-  
გენლობაში დამატებით თითო წევრის დანიშვნის. უფლება აქვთ პარტიებს,  
რომელთა წარმომადგენლებიც არ არიან არჩეულნი ან დანიშნულნი ცენტრა-  
ლური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში, მას შემდეგ, რაც რეგისტრაციას  
დაგვიანდნენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საკრებულოების არჩევნებში  
ინაწილეობის მიზნით. პარტიებმა თავისი გადაწყვეტილება ცენტრალურ სა-  
არჩევნო კომისიას უნდა შეატყობინონ საკრებულოების არჩევნებამდე არა  
გვიანეს 40 დღისა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ეს წევრები მონაწი-  
ლეობენ მხოლოდ იმ საკითხთა განხილვასა და გადაწყვეტაში, რომლებიც ეხება  
საკრებულოების არჩევნებს და მათი უფლებამოსილება მთავრდება საქართვე-  
ლოს რესპუბლიკის საკრებულოების მომდევნო არჩევნების დანიშვნის დღეს.

ცენტრალური საარჩევნო კომისია თავის შემადგენლობას, კომისიის მი-  
მართა და ტელეფონის ნომრებს დაუყოვნებლივ აქვეყნებს საქართველოს  
უზენაესი საბჭოსა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ოფიცია-  
ლურ ორგანოებში — გაზეთებსა და უწყებებში.

**მუხლი 24.** ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებანი

ცენტრალური საარჩევნო კომისია:

1) კონტროლს უწევს ამ კანონის შესრულებას და უზრუნველყოფს მის  
რთგვაროვან გამოყენებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე; საჭიროების  
ემთხვევაში განმარტავს ამ კანონის დებულებებს; თავისი შემადგენლობის ორი  
ნაწილის უმრავლესობით იღებს ინსტრუქციებს საარჩევნო კამპანიის ჩატა-  
რებისათვის აუცილებელი და ამ კანონით განუსაზღვრელი საკითხების გადა-  
წყველად;

2) აქვეყნებს საარჩევნო კომისიების წევრებად წარდგენისა და დანიშვნის  
აწყობისა და დამთავრების თარიღებს, მათ მიერ საარჩევნო ოლქებში დებუ-

ტატობის კანდიდატთა წარდგენისა და რეგისტრაციის დაწყებისა და დარეგისტრირების თარიღებს;

3) ნიშნავს ტერიტორიული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების, რომლებსაც არა აქვთ რაიონული დაყოფა ან მიკუთვნება არა აქვთ დაბეები და სოფლები) საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა მდივანებსა და ოთხ-ოთხ წევრს, საქირიების შემთხვევაში — კომისიების წევრებს; აქვეყნებს კომისიების შემადგენლობასა და მათ მისამართებს;

4) რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოს არჩევნების მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს;

5) წარმართავს საარჩევნო კომისიების საქმიანობას, ისმენს მათ ინფორმაციას;

6) ქმნის საარჩევნო ოლქებს რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში, რომლებსაც არა აქვთ რაიონული დაყოფა ან არა აქვთ მიკუთვნებული დაბეები და სოფლები;

7) წყვეტს საარჩევნო ოლქისათვის იმ საარჩევნო უბნების მიწერის კითხვას, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ იქმნება;

8) ადგენს არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების განაწილებისა და მოყენების წესს; უნაწილებს ფულად სახსრებს ტერიტორიულ და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების, რომლებსაც არა აქვთ რაიონული დაყოფა ან არა აქვთ მიკუთვნებული დაბეები და სოფლები) საარჩევნო კომისიებს; კონტროლს უწევს საარჩევნო კომისიების უზრუნველყოფას უბნებით, ტრანსპორტით, კავშირგაბმულობით და განიხილავს არჩევნების მონაწილე-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საკითხებს;

9) ადგენს საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო ბიულეტენების, ამომრჩეველთა სიების, საარჩევნო კომისიების სხდომათა ოქმების, საარჩევნო დოკუმენტების ფორმებს, საარჩევნო ყუთებისა და საარჩევნო მისიათა ბეჭდების ნიმუშებს, საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესს;

10) უზრუნველყოფს საარჩევნო კამპანიაში პარტიების, საარჩევნო ბიულეტენებისა და დეპუტატობის კანდიდატების მონაწილეობის თანასწორ პირობების შექმნას;

11) განსაზღვრავს საარჩევნო კამპანიაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონაწილეობისა და მათი გამოყენების წესს ამ კანონის შესაბამისად;

12) განსაზღვრავს სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ვალდებულებას არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციას მათ ინფორმაციას;

13) აჯამებს რესპუბლიკაში არჩევნების შედეგებს და არჩევნების შედეგად დადგენს 30 დღის ვადაში აქვეყნებს მათ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს გაზეთებში;

14) განიხილავს საარჩევნო კომისიათა გადაწყვეტილებებისა და მათი შედეგების გამო განცხადებებსა და საჩივრებს და გამოაქვს მათ შესახებ გადაწყვეტილებები;



15) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონების შესაბამისად.

**მუხლი 25.** ტერიტორიული და ადგილობრივი საარჩევნო კომისიები

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დებუტატთა არჩევნების ტერიტორიული და ადგილობრივი საარჩევნო კომისიები იქმნება კომისიის თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მდივნისა და არანაკლებ 10 წევრისაგან.

ტერიტორიული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების, რომლებსაც არა აქვთ რაიონული დაყოფა ან მიკუთვნებული არა აქვთ დაბები და სოფლები) საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა მოადგილეებსა და ოთხ-ოთხ წევრს ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების დაწესებიდან არა უადრეს 10 და არჩევნებამდე არა უგვიანეს 50 დღისა, ადგილობრივი საარჩევნო კომისიისას კი — შესაბამისი ტერიტორიული საარჩევნო კომისია მისი შექმნიდან 7 დღის განმავლობაში ხელისუფლების ან მმართველობის შესაბამისი ადგილობრივი ორგანოების, პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული შრომითი კოლექტივებისა და საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების, ამომრჩეველთა ჯგუფების წინადადებათა გათვალისწინებით. დასახელებულმა ორგანიზაციებმა თავიანთი წინადადებები ცენტრალურს და ტერიტორიულ საარჩევნო კომისიებს უნდა წარუდგინონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილ ვადებში; წარდგენის ვადების გამოქვეყნება სულ ცოტა 6 დღით წინ უნდა უსწრებდეს წარდგენის ვადის დასასრულს. ცენტრალური და ტერიტორიული საარჩევნო კომისიები თავიანთ გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ ატყობინებენ წარმდგენ ორგანიზაციებს და 3 დღის ვადაში შესაბამის რაიონულ და საქალაქო გაზეთებში აქვეყნებენ კომისიების შემადგენლობას, მათ ადგილსამყოფელს და ტელეფონის ნომრებს.

ტერიტორიული და ადგილობრივი საარჩევნო კომისიების თითო წევრი შეუძლიათ დანიშნონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულმა პარტიებმა, თუ მათი წარმომადგენელი არ არის დანიშნული შესაბამისი საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ცენტრალური და ტერიტორიული საარჩევნო კომისიების მიერ. პარტიებმა თავისი გადაწყვეტილება შესაბამის საარჩევნო კომისიებს უნდა აცნობონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილ ვადებში.

თუ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი ვადისათვის კომისიის შემადგენლობაში 13 პირზე ნაკლები აღმოჩნდა, ცენტრალური (ტერიტორიული) საარჩევნო კომისია 3 დღის ვადაში ნიშნავს კომისიის რამდენიმე წევრებს მისი შემადგენლობის 13-მდე შესავსებად და დაუყოვნებლივ ატყობინებს შესაბამის საარჩევნო კომისიას ამის შესახებ.

ტერიტორიული და ადგილობრივი საარჩევნო კომისიების შექმნის ვადის გასვლამდე 2 დღის განმავლობაში იგი თავის წევრთაგან ირჩევს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს და დაუყოვნებლივ ატყობინებს ცენტრალურ და ტერიტორიულ საარჩევნო კომისიებს.



ტერიტორიული და ადგილობრივი საარჩევნო კომისიების უფლებამოსილების ვადა მთავრდება საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების მომდევნო არჩევნების დანიშვნის დღეს.

ტერიტორიული და ადგილობრივი საარჩევნო კომისიები თავის შემადგენლობას, კომისიის მისამართს და ტელეფონის ნომრებს დაუყოვნებლივ აქვეყნებენ შესაბამის ადგილობრივ გაზეთებში.

**მუხლი 26.** ტერიტორიული საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებანი ტერიტორიული საარჩევნო კომისია:

1) კონტროლს უწევს ამ კანონის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვან გამოყენებას შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე;

2) ნიშნავს მისი ქვემდგომი ადგილობრივი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და 4 წევრს, საჭიროების შემთხვევაში — კომისიის დამატებით წევრებს; აქვეყნებს კომისიების შემადგენლობასა და მათ მისამართებს;

3) ქმნის საარჩევნო ოლქებს ქალაქის (გარდა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა, რომლებსაც არა აქვთ რაიონული დაყოფა ან მიკუთვნებული არა აქვთ დაბები და სოფლები), დაბისა და სოფლის საკრებულოების ქვემდებარე ტერიტორიებზე;

4) წარმართავს ადგილობრივი და საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობას, ისმენს მათ ინფორმაციებს;

5) უნაწილებს ფულად სახსრებს მის ქვემდგომ ადგილობრივ და საუბნო საარჩევნო კომისიებს; კონტროლს უწევს ადგილობრივი და საუბნო საარჩევნო კომისიების უზრუნველყოფას შენობებით, ტრანსპორტით, კავშირგაბმულობით და განიხილავს შესაბამის ტერიტორიაზე არჩევნების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საკითხებს;

6) რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს; უზრუნველყოფს პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და მათი კანდიდატების საარჩევნო პლაკატების გამოცემას;

7) უზრუნველყოფს საარჩევნო კამპანიაში დეპუტატობის კანდიდატთა, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მონაწილეობის თანაბარ პირობებს;

8) თვალყურს ადევნებს მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მიერ ამ კანონის მოთხოვნათა შესრულებას;

9) ისმენს ადგილობრივი მმართველობის აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოთა და სახელმწიფო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ინფორმაციებს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

10) უზრუნველყოფს საარჩევნო ბიულეტენების დამზადებას;

11) განიხილავს ადგილობრივ და საუბნო საარჩევნო კომისიათა გადაწყვეტილებებისა და მოქმედების გამო განცხადებებსა და საჩივრებს და გამოაქვს მათ შესახებ გადაწყვეტილებები;

12) ატარებს რაიონის, რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ზონის საკრებულოების არჩევნებს; ადგენს და ადგილობრივ პრესაში აქვეყნებს აღნიშნულ საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების შედეგებს, მოწმობას აძლევს არჩეულ დეპუტატებს;

13) ნიშნავს და აწყობს არჩევნებს რაიონის, რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ზონის საკრებულოებში დეპუტატის გამოკლების შემთხვევაში;

14) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონის შესაბამისად.

**მუხლი 27.** ადგილობრივი საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებანი ადგილობრივი საარჩევნო კომისია:

1) კონტროლს უწევს ამ კანონის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვან გამოყენებას შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე;

2) ქმნის საარჩევნო უბნებს ხელისუფლების ან მმართველობის შესაბამისი ადგილობრივი ორგანოების წარდგინებით და მათთან შეთანხმებით აქვეყნებს საარჩევნო უბნების სიებს;

3) ნიშნავს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და 2 წევრს, საჭიროების შემთხვევაში — კომისიის დამატებით წევრებს; აქვეყნებს კომისიების შემადგენლობასა და მათ მისამართებს;

4) წარმართავს საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობას და ისმენს მათ ინფორმაციებს;

5) თვალყურს ადევნებს ამომრჩეველთა სიების შედგენას და მათ წარდგენას საყოველთაო გაცნობისათვის;

6) რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და ამომრჩეველთა ჯგუფების მიერ შესაბამის საარჩევნო ოლქებში წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატებს და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს; უზრუნველყოფს პლაკატების გამოცემას მათი ბიოგრაფიული მონაცემებითა და წინასაარჩევნო პროგრამებით;

7) რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საკრებულოს არჩევნებში მონაწილე დეპუტატობის კანდიდატების ნდობით აღჭურვილ პირებს და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს;

8) უზრუნველყოფს საარჩევნო კამპანიაში დეპუტატობის კანდიდატთა, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მონაწილეობის თანაბარ პირობებს;

9) მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით ადგენს საყოველთაო გაცნობისათვის საარჩევნო პლაკატების გამოფენის ადგილებს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სათანადო სტენდების დამზადებას;

10) თვალყურს ადევნებს მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მიერ ამ კანონის მოთხოვნათა შესრულებას;

11) ისმენს ადგილობრივი მმართველობის აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოთა და სახელმწიფო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანი-

ზაციათა ხელმძღვანელების ინფორმაციებს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

12) ხელს უწყობს შრომით კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივებს, ამომრჩევლებს დეპუტატობის კანდიდატებთან და დეპუტატობის კანდიდატებს მათთან შეხვედრების მოწყობაში როგორც ამ კოლექტივების ისე ამომრჩეველთა საცხოვრებელ ადგილას; უზრუნველყოფს ამომრჩევლებთან დეპუტატობის კანდიდატების ერთობლივი შეხვედრების მოწყობის მიერ დადგენილი და მათთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით;

13) ამტკიცებს საარჩევნო ბიულეტენების ტექსტს საარჩევნო ოლქებისთვის, უზრუნველყოფს მათ დამზადებასა და ბიულეტენებით საუბნო საარჩევნო კომისიების მომარაგებას;

14) ადგენს და ადგილობრივ პრესაში აქვეყნებს საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა რიცხვს და აგრეთვე არჩევნებში მონაწილეთა რიცხვს, არჩევნების საბოლოო შედეგებს, მოწმობას აძლევს არჩეულ დეპუტატს;

15) ყოფს საარჩევნო ოლქს სათანადო-ნაწილებად;

16) ნიშნავს და აწყობს არჩევნების მეორე ტურს მისდამი დაქვემდებარებულ საარჩევნო ოლქებში;

17) ნიშნავს და აწყობს ხელახალ არჩევნებს მისდამი დაქვემდებარებულ საარჩევნო ოლქებში;

18) ნიშნავს და აწყობს არჩევნებს საარჩევნო ოლქში დეპუტატის გამოკლების შემთხვევაში;

19) განიხილავს საუბნო საარჩევნო კომისიათა გადაწყვეტილებებისა და მოქმედების გამო განცხადებებსა და საჩივრებს და გამოაქვს მათ შესახებ გადაწყვეტილებები;

20) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონის შესაბამისად.

**მუხლი 28.** საუბნო საარჩევნო კომისიები

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიები იქმნება კომისიის თავმჯდომარის, მის მოადგილის, მდივნისა და არანაკლებ 2 წევრისაგან საარჩევნო უბნების სიის გამოკვეყნებიდან არა უადრეს მე-6 და არა უგვიანეს მე-9 დღისა. კომისიის წევრთა მინიმალურ რაოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი ადგილობრივი საარჩევნო კომისია.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და 2 წევრს ნიშნავს შესაბამისი ადგილობრივი საარჩევნო კომისია ხელისუფლების აქტიური მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, მის ტერიტორიაზე განლაგებული შრომითი კოლექტივების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების, ამომრჩეველთა ჯგუფების წინადადებათა გათვალისწინებით.

საუბნო საარჩევნო კომისიის თითო წევრი შეუძლიათ დანიშნონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულმა პარტიებმა და საარჩევნო ბლოკებმა.

თუ საარჩევნო უბნების სიის გამოქვეყნებიდან მე-9 დღეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა დადგენილზე ნაკლები აღმოჩნდა, ადგილობრივი საარჩევნო კომისია მისი შემადგენლობის შესავსებად 2 დღის ვადაში ნიშნავს კომისიის დამატებით წევრებს.

განცხადებანი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა წარდგენისა და დანიშვნის შესახებ ადგილობრივ საარჩევნო კომისიას უნდა წარედგინოს საარჩევნო უბნების სიის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა.

კომისიის შექმნიდან 2 დღის ვადაში იგი თავის წევრთაგან ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს, რასაც დაუყოვნებლივ აცხადებენ ტერიტორიულ და ადგილობრივ საარჩევნო კომისიებს.

საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადა მთავრდება არჩევნების დამთავრებისთანავე.

საუბნო საარჩევნო კომისია თავის შემადგენლობას, კომისიის მისამართსა და ტელეფონის ნომრებს დაუყოვნებლივ აქვეყნებს ადგილობრივ გაზეთებში.

**მუხლი 29.** საუბნო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებანი

საუბნო საარჩევნო კომისია:

- 1) ადგენს უბნის მიხედვით ამომრჩეველთა სიებს;
- 2) ამომრჩეველებს აცნობს ამომრჩეველთა სიებს, იღებს და იხილავს განცხადებებს სიებში უსწორობათა შესახებ და წყვეტს მათში სათანადო ცვლილებათა შეტანის საკითხს;
- 3) ამომრჩეველებს აძლევს ამომრჩევლის ბარათს და მოთხოვნისას — ხმის მიცემის უფლების მოწმობას;
- 4) აუწყებს მოსახლეობას საუბნო საარჩევნო კომისიის ადგილსამყოფელს და მისი მუშაობის დროს, აგრეთვე არჩევნების ჩატარების თარიღსა და ხმის მისაცემ ადგილს;
- 5) უზრუნველყოფს ხმის მისაცემად შენობის, საარჩევნო უბნებისა და კაბინების, საინფორმაციო სტენდების მომზადებას;
- 6) ორგანიზაციას უწევს საარჩევნო უბანში ხმის მიცემას არჩევნების დღეს;
- 7) ადგენს საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა რიცხვს და არჩევნებში მონაწილეთა რიცხვს, დებუტატობის ყოველი კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობას;
- 8) განიხილავს განცხადებებსა და საჩივრებს არჩევნების მომზადებისა და კენჭისყრის ორგანიზაციის საკითხებზე და იღებს სათანადო გადაწყვეტილებებს;
- 9) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონის შესაბამისად.

**მუხლი 30.** საარჩევნო კომისიების წევრების დანიშვნისა და კომისიის წევრებად წარდგენის წესი

საარჩევნო კომისიების წევრებად თავისი წარმომადგენლების დანიშვნის უფლება აქვს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რესპუბლიკის საკრებულოების არჩევნებში მონაწილეობის მიზნით რეგისტრირებული პარტიის რესპუბლიკურ ხელმძღვანელ ორგანოს ან ხელმძღვანელ პირს ყველა საარჩევნო კომისიაში, რეგიონულ (ადგილობრივ) ხელმძღვანელ ორგანოს ან მის ხელმძღვანელ პირს — შესაბამისი რეგიონის ტერიტორიაზე შე-

ქმნილ საარჩევნო კომისიებში, საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მოქმედი პირველადი ჯგუფების კრებებს — შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიებში. თუ ერთსა და იმავე კომისიაში თავისი წარმომადგენელი ერთზე მეტმა ორგანომ დანიშნა, უპირატესობა ზემდგომი ორგანოს წარმომადგენელს ეძლევა.

საარჩევნო კომისიების წევრებად თავისი წარმომადგენლების წარდგენის უფლება აქვთ:

1) საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ან მმართველობის ადგილობრივ ორგანოს შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე მოქმედ საარჩევნო კომისიებში;

2) საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მოძრაობის რესპუბლიკურ ხელმძღვანელ ორგანოს — ყველა საარჩევნო კომისიაში, რეგიონულ (ადგილობრივ) ხელმძღვანელ ორგანოს — შესაბამისი რეგიონის ტერიტორიაზე შექმნილ საარჩევნო კომისიებში, ადგილობრივი საარჩევნო კომისიის ტერიტორიაზე მოქმედი პირველადი ჯგუფების კრებებს — შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიებში. ეს ორგანოები თავიანთ წარმომადგენლებს ასახელებენ სხდომებზე (კრებებზე, კონფერენციებზე);

3) უმაღლესი სასწავლებლების (მათი ფილიალების) კოლექტივების კრებებს (კონფერენციებს) — შესაბამის ტერიტორიულ საარჩევნო კომისიებში;

4) ადგილობრივი საარჩევნო კომისიის ტერიტორიაზე განლაგებული შრომითი კოლექტივებისა და საშუალო-სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების (მათი ფილიალებისა და ფაკულტეტების) კოლექტივების კრებებს (კონფერენციებს) — შესაბამის ადგილობრივ და საუბნო საარჩევნო კომისიებში;

5) ამომრჩევლებს შესაბამის საარჩევნო კომისიაში განცხადების წარდგენის ვხით — ტერიტორიულ საარჩევნო კომისიაში, თუ განცხადებას ხელს აწერს შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრები სულ ცოტა 100 ამომრჩეველი; ადგილობრივ საარჩევნო კომისიაში, თუ განცხადებას ხელს აწერს შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრები სულ ცოტა 50 ამომრჩეველი და საუბნო საარჩევნო კომისიაში, თუ განცხადებას ხელს აწერს შესაბამის საარჩევნო ოლქში მცხოვრები სულ ცოტა 20 ამომრჩეველი.

საარჩევნო კომისიის წევრად წარდგენისა თუ დანიშვნისას ამ კანონით განსაზღვრულ ვადებში სათანადო ორგანოს უნდა წარედგინოს რესპუბლიკის ხელისუფლების ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოს, პარტიის შესაბამისი ხელმძღვანელი ორგანოს ან ხელმძღვანელი პირის, წარდგენის უფლების მქონე ამ მუხლში ჩამოთვლილ სხვა პირთა განცხადება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საარჩევნო კომისიის წევრად წარდგენილი (დანიშნული) პირის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, პარტიულობა, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო ადგილი, მისამართი და ტელეფონის ნომერი. ბინის მისამართი და ტელეფონის ნომერი. ამ მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში განცხადებას უნდა ერთვოდეს:

ა) კრების (სხდომის, კონფერენციის) ოქმის ამონაწერი. ოქმის ამონაწერი (განცხადებაში) მითითებული უნდა იყოს წარმდგენი ორგანოს დასახელება, მისამართი და ტელეფონის ნომერი, ორგანოს (კოლექტივის) წევრთა რიცხვი,

კრების (სხდომის, კონფერენციის) მონაწილეთა რიცხვი, კენჭისყრის შედეგი, გადაწყვეტილებების მიღების თარიღი, კომისიის წევრად წარდგენილი (დანიშნული) პირის სახელი და გვარი. ოქმი დამოწმებული უნდა იყოს კრების (სხდომის, კონფერენციის) თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით;

ბ) ამ მუხლის მე-2 ნაწილის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში — განცხადების მხარდამჭერ ამომრჩეველთა სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, პასპორტის სერია და ნომერი, ბინის მისამართი, ხელმოწერის თარიღი, ხელმოწერა, წარდგენის ინიციატორთა იგივე მონაცემები და ტელეფონის ნომრები.

განცხადების წარმდგენს ეძლევა დათარიღებული ცნობა განცხადების მიღების შესახებ.

**მუხლი 31.** კრების, სხდომის, კონფერენციის, ყრილობის მოწვევისა და ჩატარების წესი

რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების სხდომების (კონფერენციების, ყრილობების) მოწვევისა და ჩატარების წესები განისაზღვრება მათი საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით.

შრომით კოლექტივებში, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივებში კრებებს (კონფერენციებს) იწვევენ მათი საბჭოები, პროფკავშირთა კომიტეტები (ბიუროები) ადმინისტრაციასთან ერთად საკუთარი ინიციატივით ან კოლექტივის წევრთა ერთი მეხუთედის მოთხოვნით. კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კოლექტივის წევრთა ნახევარზე მეტი; კონფერენცია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება არჩეულ დელეგატთა არანაკლებ ორი მესამედისა. კრების (კონფერენციის) მუშაობაში მონაწილეობას მისი წევრები ადასტურებენ რეგისტრაციის ფურცელზე ხელმოწერით, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს კრების (კონფერენციის) თავმჯდომარისა და მდივნის მიერ. საარჩევნო კომისიის წევრად შეიძლება დასახელდეს ნებისმიერი ამომრჩეველი, ოღონდ აუცილებელია მისი თანხმობა. პიროვნება წარდგენილად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს კრების რეგისტრირებულ მონაწილეთა (კონფერენციის საერთო შემადგენლობის) ნახევარზე მეტი. კონფერენციის დელეგატების არჩევისას წარმომადგენლობის ნორმას ადგენს კონფერენციის მომწვევი ორგანო.

კრების, სხდომის, კონფერენციის, ყრილობის ოქმი უნდა ინახებოდეს საკრებულოს სამანდატო კომისიის მიერ დებუტატების უფლებამოსილების დამტკიცებამდე.

**მუხლი 32.** საარჩევნო კომისიების შემადგენლობის შეცვლის წესი

საარჩევნო კომისიის ნებისმიერი წევრი თავისუფლდება კომისიაში თავისი მოვალეობის შესრულებისაგან კომისიის მიერ:

- ა) ამ კანონის მე-20 მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულ კანონიერ საფუძველზე;
- ბ) გადადგომის შემთხვევაში;

გ) გაწვევის ან უფლებამოსილების ჩამორთმევის შემთხვევაში.

კომისიის წევრის გაწვევის უფლება აქვს მას, ვინც წარადგინა ან დანიშნა იგი კომისიის წევრად.

კომისიის წევრისათვის უფლებამოსილების ჩამორთმევის უფლება აქვს ზემდგომ საარჩევნო კომისიას (ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრისათვის კი — თვით ამ კომისიას) კომისიის წევრის მიერ საარჩევნო კანონის დარღვევისას ან თავისი მოვალეობის სისტემატური შეუსრულებლობისას უფლებამოსილების ჩამორთმევის საკითხი წყდება კომისიის სხდომაზე ფარული კენჭისყრით მისი სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით.

ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში თავისი მოვალეობის შესრულებისაგან კომისიის წევრის გათავისუფლებისას ან მისი გარდაცვალებისას, თუ იგი იყო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის ან საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელი, ამ პარტიას ან საარჩევნო ბლოკს ორი კვირის განმავლობაში შეუძლია დანიშნოს კომისიის ახალი წევრი. სხვა შემთხვევებში კომისიის ახალი წევრი იმავე ვადაში შეუძლია დანიშნოს კომისიის შემქმნელმა ორგანომ ამ კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 33.** საარჩევნო კომისიებისათვის ხელშეწყობა მათი უფლებამოსილების განხორციელებაში

საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებათა ფარგლებში მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანოს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, საწარმოების, დაწესებულება-ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისათვის. ისინი ვალდებული არიან ხელი შეუწყონ საარჩევნო კომისიებს მუშაობაში, მიაწოდონ მათთვის საჭირო ცნობები და მასალები.

საარჩევნო კომისიებს უფლება აქვთ არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართონ სახელმწიფო, პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საწარმოებს, დაწესებულება-ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელებს, რომლებიც ვალდებული არიან განიხილონ დასმული საკითხები და საარჩევნო კომისიას პასუხი გასცენ სამი დღის ვადაში.

საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებანი და მოქმედებანი შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში, ხოლო ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში — აგრეთვე სასამართლოში.

**V. ამომრჩეველთა სია, ამომრჩევლის ბარათი და ხმის მიცემის უფლების მოწმობა**

**მუხლი 34.** ამომრჩეველთა სია და მისი შედგენის წესი

ამომრჩეველთა სია დგება ორ ცალად თითოეული საარჩევნო უბნის მიხედვით და მას ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. სიის შედგენისათვის საარჩევნო კომისიას შეუძლია მიიწვიოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა აღრიცხვას და გადასცემენ საუბნო საარჩევნო კომისიებს მათ ქვემდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ ამომრჩეველთა შესახებ იმ მონაცემებს, რომლებიც საჭიროა ამომრჩეველთა სიების შესადგენად.

სიაში შეაქვთ ამომრჩეველთა სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, მისამართი.

ამომრჩეველთა სიებს საარჩევნო უბნების მიხედვით, რომლებიც შექმნილია საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, აგრეთვე არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს დაწესებულებებში, ადგენენ აღნიშნული დაწესებულებების ხელმძღვანელებისა და გემების კაპიტნების მიერ წარდგენილ მონაცემთა საფუძველზე.

ამომრჩეველთა გვარები საარჩევნო სიაში შეაქვთ ხმის მიცემის მოწყობისათვის მოსახერხებელი წესით.

**მუხლი 35.** ამომრჩეველთა სიაში მოქალაქეთა შეტანის წესი

ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, რომლებსაც არჩევნების დღისათვის ან არჩევნების დღეს შეუსრულდათ 18 წელი, სიის შედგენის მომენტისათვის ცხოვრობენ მოცემული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და აქვთ ხმის მიცემის უფლება.

ამომრჩეველი შეტანილი უნდა იქნეს ამომრჩეველთა მხოლოდ ერთ სიაში.

**მუხლი 36.** მოქალაქეთათვის ამომრჩეველთა სიების გაცნობა, ამომრჩევლის ბარათების დარიგება და ამომრჩეველთა სიაში უსწორობის გასაჩივრების უფლება

ამომრჩეველთა სიები საყოველთაო გაცნობისათვის გამოაქვთ არჩევნებამდე 15 დღით ადრე, ხოლო საარჩევნო უბნებში, რომლებიც შექმნილია საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, — არჩევნებამდე ორი დღით ადრე.

საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ამომრჩეველთა სიების საყოველთაო გაცნობისათვის გამოტანიდან 10 დღის ვადაში ამომრჩევლებს ურიგებენ ამომრჩევლის ბარათებს, რომლებშიც მითითებული უნდა იყოს ამომრჩევლის სახელი და გვარი, ამომრჩეველთა სიაში რიგითი ნომერი, საარჩევნო უბნის ნომერი და მისამართი.

მოქალაქეთათვის უზრუნველყოფილია შესაძლებლობა გაეცნონ ამომრჩეველთა სიას და შეამოწმონ მისი შედგენის სისწორე საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში.

ყოველ მოქალაქეს უფლება ეძლევა გაასაჩივროს ამომრჩეველთა სიაში შეუტანლობა, არასწორად შეტანა ან სიიდან ამოღება, აგრეთვე სიაში დაშვებული სხვა უზუსტობანი. სიაში უზუსტობის შესახებ განცხადებას განიხილავს საუბნო საარჩევნო კომისია, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს ორი დღისა, ხოლო არჩევნების დღესა და წინა დღეს — დაუყოვნებლივ განიხილოს



განცხადება, შეიტანოს საჭირო შესწორებანი სიაში ან განმცხადებელს მისცეს მისი განცხადების უარყოფის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების პირობა. ეს გადაწყვეტილება შეიძლება არჩევნებამდე არა უგვიანეს ხუთი დღის გასაჩივრდეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომელიც მოვალეა სამი დღის ვადაში განიხილოს საჩივარი. რაიონის (ქალაქის) სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად ამომრჩეველთა სიაში შესწორება დაუყოვნებლივ შეაქვს საუბნო საარჩევნო კომისიას.

ამომრჩეველთა სიაში შეტანილი ცვლილებების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამის ადგილობრივ საარჩევნო კომისიას.

**მუხლი 37.** ხმის მიცემის უფლების მოწმობა. ამომრჩეველთა დამატებით სია

თუ ამომრჩეველმა ერთი და იმავე საკრებულოს ტერიტორიის ფარგლებში ადგილსამყოფელი შეიცვალა ამომრჩეველთა სიების საყოველთაო გაცნობისათვის გამოტანიდან ხმის მიცემის დაწყებამდე, საუბნო საარჩევნო კომისია მისი თხოვნით და წარდგენილი პასპორტის ან მისი პიროვნების დამადასტურებელი სხვა საბუთის საფუძველზე ამომრჩეველს აძლევს ხმის მიცემის უფლების მოწმობას. ამასთან, ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ შესაბამისი აღნიშვნა. მოწმობის მიღებას ამომრჩეველი თავისი ხელმოწერით ადასტურებს.

ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე ამომრჩეველი შეაქვთ დამატებით სიაში საარჩევნო უბანში არჩევნების დღეს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით.

**VI. საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენა, დეპუტატობის კანდიდატთა სიები, მათი რეგისტრაცია და საარჩევნო ბიულეტენი**

**მუხლი 38.** დეპუტატობის კანდიდატთა სიების წარდგენა

დეპუტატობის კანდიდატთა სიების (პარტიული სიების) წარდგენის უფლება აქვთ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს შესაბამის საარჩევნო კომისიებში რეგისტრაციის გავლის შემდეგ (იხ. მუხლი 15) არჩევნებამდე არა უგვიანეს 30 დღისა.

მოცემული საკრებულოს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს შესაბამის საარჩევნო კომისიას წარუდგინოს თითო პარტიული სია. სიაში კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მოცემულ საკრებულოში ასარჩევი დეპუტატების რაოდენობას.

პარტიულ სიაში შეიძლება შეტანილ იქნენ მხოლოდ ამ პარტიის წევრები ან უპარტიოები, ხოლო საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში — მხოლოდ ამ ბლოკში გაერთიანებული პარტიების წევრები ან უპარტიოები. დაუშვებელია პარტიულ სიაში იმ პირთა შეტანა, რომლებიც იმავდროულად არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიის წევრები არიან, გარდა ერთ საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტიებისა.

დეპუტატობის კანდიდატა შერჩევის წესს განსაზღვრავენ თავად პარტიები და საარჩევნო ბლოკები.

დაუშვებელია ერთი და იმავე პირის შეტანა სხვადასხვა პარტიულ სიაში. პარტიულ სიაში მითითებული უნდა იყოს ყოველი კანდიდატის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, პროფესია, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, პარტიულობა.

პარტიის კანდიდატა სია დამოწმებული უნდა იყოს პარტიის ან შესაბამისი რეგიონული ორგანოს ხელმძღვანელი პირის, ხოლო საარჩევნო ბლოკის სია — ბლოკში გაერთიანებული ყველა პარტიის ან შესაბამისი რეგიონული ორგანოების ხელმძღვანელ პირთა ხელმოწერით. სიას უნდა ერთვოდეს ყოველი კანდიდატის თანხმობა მოცემული სიით კენჭისყრის შესახებ.

**მუხლი 39.** საარჩევნო ოლქებში დეპუტატობის კანდიდატა წარდგენა

საარჩევნო ოლქებში დეპუტატობის კანდიდატა წარდგენის უფლება აქვთ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს. მათი პარტიული სიების რეგისტრაციის შემდეგ და ამომრჩეველთა ჯგუფებს — განცხადების წარდგენის გზით.

არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს არჩევნებამდე არა უგვიანეს 25 დღისა უფლება აქვს ყოველ საარჩევნო ოლქში წარადგინოს იმდენი დეპუტატობის კანდიდატი, რამდენმანდატიანაცაა მოცემული საარჩევნო ოლქი. კანდიდატად შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ ის პირი, რომელიც შეყვანილია შესაბამისი პარტიის (საარჩევნო ბლოკის) რეგისტრირებულ პარტიულ სიაში.

ერთ საკრებულოში დეპუტატობის კანდიდატად ერთი და იმავე პირის წარდგენა შეიძლება მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში.

დეპუტატობის კანდიდატა შერჩევის წესს განსაზღვრავენ თავად პარტიები და საარჩევნო ბლოკები.

საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატის წარდგენის მიზნით პარტიამ განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის ადგილობრივ საარჩევნო კომისიას. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დეპუტატობის კანდიდატის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, პროფესია, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, პარტიულობა და საარჩევნო ოლქის ნომერი, რომელშიც იგია წარდგენილი.

ამომრჩეველთა ჯგუფს უფლება აქვს საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად წარადგინოს ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლის მოთხოვნებს, თუ მას მხარს უჭერს ამ ოლქის სულ ცოტა 100 ამომრჩეველი. კანდიდატა წარდგენა იწყება არჩევნებამდე 42 და მთავრდება 33 დღით ადრე. ამ მიზნით ამომრჩეველთა ჯგუფმა სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის ადგილობრივ საარჩევნო კომისიას არჩევნებამდე არა უგვიანეს 38 დღისა, რის შემდეგაც მას უფლება აქვს შეაგროვოს მხარდამჭერთა ხელმოწერები. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დეპუტატობის კანდიდატის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, პროფესია,

თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, პარტიულობა, აგრეთვე ამომრჩეველთა ჯგუფის წარმომადგენლის ვინაობა, მისამართი და ტელეფონის ნომერი.

**მუხლი 40.** დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატების მხარდამჭერთა სიები

საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა ჯგუფის მიერ წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატს მხარს უნდა უჭერდეს ამ საარჩევნო ოლქის სულ ცოტა 100 ამომრჩეველი, რომელთაც თავისი მხარდაჭერა ხელმოწერით უნდა გამოხატონ. დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდამჭერთა სია შესაბამის ადგილობრივ საარჩევნო კომისიას უნდა წარედგინოს არჩევნებამდე არა უგვიანეს 33 დღისა.

მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერით შევსებული ყოველი ფურცლის თავში უნდა ეწეროს დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატის ვინაობა და მისი მხარდაჭერის ტექსტი. ყოველი ხელმოწერის გასწვრივ მითითებული უნდა იყოს ხელმომწერის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, მისამართი, პასპორტის სერია და ნომერი, ხელმოწერის თარიღი. ხელმოწერისათვის შეიძლება ფურცლის ორივე მხარის გამოყენება. ხელმოწერები გადანომრილი უნდა იყოს. ფურცელს ხელს უნდა აწერდეს ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და მითითებული უნდა იყოს მისი მისამართი და ტელეფონის ნომერი.

ერთ ამომრჩეველს უფლება აქვს ხელი მოაწეროს საკრებულოში დეპუტატთა არჩევნების თავის საარჩევნო ოლქში მხოლოდ ერთი კანდიდატის მხარდასაჭერად.

საარჩევნო კომისიებს უფლება აქვთ შეამოწმონ ხელმოწერების ნამდვილობა. თუ ერთი და იგივე ამომრჩეველი თავის საარჩევნო ოლქში ერთზე მეტ კანდიდატს დაუჭერს მხარს, უფრო გვიან შესრულებული ხელმოწერები ბათილად ჩაითვლება. ბათილად ჩაითვლება აგრეთვე გაყალბებული და ძალდატანებით შესრულებული ხელმოწერები, თუ ამის შესახებ წერილობით განაცხადა ხელმომწერმა ამომრჩეველმა. თუ აღნიშნულ მიზეზთა გამო ხელმოწერათა რაოდენობა აუცილებელზე ნაკლები აღმოჩნდა, ამომრჩეველთა ჯგუფს წინადადება ეძლევა სამი დღის ვადაში შეავსოს მხარდამჭერთა სია. ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში დამოუკიდებელი კანდიდატის რეგისტრაცია არ მოხდება. ხელმოწერებზე პრეტენზია შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ მიიღება მისთვის მხარდამჭერთა სიის წარდგენიდან არა უგვიანეს მე-3 დღისა.

მხარდამჭერთა სიების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ საარჩევნო კომისიების წევრებს და, საჩივრის შეტანის შემთხვევაში, სასამართლო ორგანოებს.

არჩევნებამდე 15 დღით ადრე მხარდამჭერთა სიები ნაღვურდება.

**მუხლი 41.** პარტიული სიებისა და საარჩევნო ოლქებში წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

პარტიულ სიას რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი ადგილობრივი საარჩევნო კომისია მისთვის სიის წარდგენიდან არა უგვიანეს 3 დღისა.

საარჩევნო ოლქებში წარდგენილ კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებენ შესაბამისი ადგილობრივი საარჩევნო კომისიები: დამოუკიდებელ კანდიდატებს — მათი წარდგენიდან არა უადრეს მე-4 და არა უგვიანეს მე-8 დღისა, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების კანდიდატებს — მათი წარდგენიდან არა უგვიანეს მე-3 დღისა.

დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შემდეგ 3 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისიები პარტიის (საარჩევნო ბლოკის) წარმომადგენელს ან დეპუტატობის კანდიდატებს გადასცემენ დეპუტატობის კანდიდატთა მოწმობებს.

პარტიული სიის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება, თუ არის შემდეგი საბუთები: პარტიის ან მისი რეგიონული ორგანოს ხელმძღვანელი პირის (საარჩევნო ბლოკში შემავალ პარტიათა ან მათ რეგიონულ ორგანოთა ხელმძღვანელ პირთა) მიერ ხელმოწერილი განცხადება, კანდიდატთა სია, ყოველი კანდიდატის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს მოცემული სიით.

საარჩევნო ოლქში პერსონალურად წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება, თუ არის შემდეგი საბუთები: პარტიის ან მისი რეგიონული ორგანოს ხელმძღვანელი პირის (საარჩევნო ბლოკში შემავალ პარტიათა ან მათ რეგიონულ ორგანოთა ხელმძღვანელ პირთა) წარდგინება და დეპუტატობის კანდიდატის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს მოცემულ საარჩევნო ოლქში, დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატისათვის კი — მისი თანხმობა კენჭისყრაზე, ამომრჩეველთა ჯგუფის განცხადება და მის მხარდამჭერთა სია.

ამ კანონის მე-9 მუხლში ჩამოთვლილმა პირებმა დეპუტატობის კანდიდატად მათი წარდგენისას თავიანთ განცხადებებში უნდა აღნიშნონ, რომ გაათავისუფლებენ დაკავებულ თანამდებობას საკრებულოს წევრად მათი არჩევის შემთხვევაში. ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დეპუტატობის კანდიდატები წარდგენისას თავიანთ განცხადებაში აღნიშნავენ, თუ ხელისუფლების რომელი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობაზე იტყვიან უარს მოცემული საკრებულოს წევრად არჩევის შემთხვევაში.

ზემოთ ჩამოთვლილი საბუთების წარმდგენს საარჩევნო კომისია აძლევს ცნობას, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საბუთების მიღების თარიღი და დრო.

თუ წარდგენილი საბუთები არ აკმაყოფილებს ამ კანონის მოთხოვნებს, კომისია საბუთების მიღებიდან 3 დღის ვადაში აცნობებს ამის შესახებ საბუთების წარმომდგენთ ნაკლოვანებათა გასასწორებლად. გასწორებული საბუთები კომისიას შეიძლება წარედგინოს არჩევნებამდე არა უგვიანეს 25 დღისა.

დაუშვებელია ერთი და იმავე პიროვნებამ კენჭი იყაროს სხვადასხვა პარტიული სიით ან პარტიული სიით და იმავდროულად, როგორც დამოუკიდებ-



ბელმა კანდიდატმა, ანდა ერთი საკრებულოს ერთზე მეტ საარჩევნო ოლქში, თუ პიროვნებამ თანხმობა მისცა ერთზე მეტ პარტიულ სიაში თავის შეყვანას ან პარტიულ სიაში შეყვანასა და კენჭისყრაზე, როგორც დამოუკიდებელ კანდიდატმა, ანდა ერთი საკრებულოს ერთზე მეტ საარჩევნო ოლქში კენჭისყრაზე, მისი კანდიდატურა არჩევნებიდან მოიხსნება შესაბამისი ადგილობრივი ტერიტორიული ან ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ.

პარტიული სიები და დეპუტატობის კანდიდატების გვარები ინომრებ შესაბამის საარჩევნო კომისიაში მათი წარდგენის რიგის მიხედვით და ვაზე თებში ქვეყნდება რეგისტრაციის დამთავრებიდან 5 დღის ვადაში საარჩევნო ოლქების მიხედვით. ამავე ვადაში ქვეყნდება იმ პარტიათა სია, რომელთაც უარი ეთქვათ პარტიული სიების რეგისტრაციაზე, აგრეთვე უარის თქმის მიზეზები.

**მუხლი 42.** საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატობის კანდიდატად წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება დეპუტატობის კანდიდატის მიერ თავისი კანდიდატურის მოხსნის შემთხვევაში.

პარტიას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს არჩევნებამდე ნებისმიერ დროს გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება დეპუტატობის კანდიდატის წარდგენის შესახებ. მისი კანდიდატურა არჩევნებიდან მოიხსნება შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ ამ კომისიაში პარტიის (საარჩევნო ბლოკის) პასუხისმგებელი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი განცხადების საფუძველზე.

დეპუტატობის კანდიდატს არჩევნებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საარჩევნო კომისიას.

ინფორმაციას ზემოთ აღნიშნულის შესახებ შესაბამისი ადგილობრივი საარჩევნო კომისია აქვეყნებს განცხადების მიღებიდან სამი დღის ვადაში, ხოლო თუ არჩევნებამდე 5 დღეზე ნაკლებია დარჩენილი, — დაუყოვნებლივ.

**მუხლი 43.** საარჩევნო ბიულეტენი

საარჩევნო ბიულეტენში შეაქვთ საკრებულოს დასახელება, საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება, დეპუტატობის კანდიდატთა სახელი და გვარი, დაბადების წელი, პროფესია, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო ადგილი, პარტიულობა, პარტიის (საარჩევნო ბლოკის) დასახელება, რომელმაც წარადგინა დეპუტატობის კანდიდატი (თუ დეპუტატობის კანდიდატი ამომრჩეველთა ჯგუფის განცხადების საფუძველზეა წარდგენილი, უნდა დაიწეროს „დამოუკიდებელი“) იმ თანამიმდევრობით, რომლითაც მოხდა მათი წარდგენა შესაბამისი საარჩევნო კომისიებისათვის. ყოველი გვარის წინ დაბეჭდილი უნდა იყოს ცარიელი უჯრედი მასში რიგითი ნომრის ჩასაწერად.

საარჩევნო ბიულეტენებს ბეჭდავენ ტერიტორიული საარჩევნო კომისიები ქართულ ენასა და აფხაზურ ენაზე (აფხაზეთის ტერიტორიაზე), აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, საარჩევნო ოლქის მოსახლეობის რომელიმე ნაწილისათვის გასაგებ სხვა ენაზეც.

საარჩევნო ბიულეტენები ზუსტ აღრიცხვას ექვემდებარება. ტერიტორიული საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფენ ადგილობრივი საარჩევნო კომი-



სიებისათვის ბიულეტენების გადაცემას არჩევნებამდე არა უგვიანეს 5 დღისა. ყოველ საუბნო საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს შესაბამის უბანში ამომრჩეველთა რაოდენობაზე დაახლოებით 5 პროცენტით მეტი ბიულეტენი. ბიულეტენების მიღებას კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე ან მდივანი ხელმოწერით ადასტურებს.

**VII. საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების არჩევნებში მონაწილე პარტიათა და საარჩევნო ბლოკთა, დეპუტატობის კანდიდატთა საქმიანობის გარანტიები**

**მუხლი 44.** დეპუტატობის კანდიდატის უფლება გამოვიდეს კრებებზე, ისარგებლოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მიიღოს ინფორმაცია

დეპუტატობის კანდიდატები თანასწორი უფლებით მონაწილეობენ წინასაარჩევნო კამპანიაში დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციის მომენტიდან. დეპუტატობის კანდიდატებს უფლება აქვთ გამოვიდნენ კრებებზე, თათბირებზე, სხდომებზე, მიტინგებზე, პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საწარმოთა, დაწესებულება-ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები მოვალენი არიან ხელს უწყობდნენ დეპუტატობის კანდიდატებს ამომრჩევლებთან შეხვედრათა ორგანიზაციაში, საჭირო საცნობარო და საინფორმაციო მასალების მიღებაში.

**მუხლი 45.** საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების, დამოუკიდებელი კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამები

პარტიის (საარჩევნო ბლოკის) დეპუტატობის კანდიდატს უფლება აქვს საჯაროდ გამოვიდეს თავისი პარტიის (საარჩევნო ბლოკის), დამოუკიდებელ კანდიდატს კი — თავისი მომავალი საქმიანობის პროგრამით. პარტიის (საარჩევნო ბლოკის), დამოუკიდებელი კანდიდატის პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ომის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალმომრეობით შეცვლის ან დაშლის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის, ეროვნული სიძულვილისა და მტრობის მოწოდებას, არ უნდა აღვივებდეს რელიგიურ შუღლს.

საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფენ პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების, დამოუკიდებელი კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამების გამოქვეყნებას რესპუბლიკურ და ადგილობრივ გაზეთებში პარტიული სიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების რეგისტრაციაში გატარებიდან 10 დღის განმავლობაში.

**მუხლი 46.** საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების არჩევნებში მონაწილე დეპუტატობის კანდიდატების ნდობით აღჭურვილი პირნი

დეპუტატობის კანდიდატს შეუძლია იყოლოს ათი ნდობით აღჭურვილი პირი, რომლებიც წარმართავენ დეპუტატობის კანდიდატის, პარტიის (საარ-



ჩვენო ბლოკის) წინასაარჩევნო კამპანიას შესაბამის საარჩევნო ოლქში, ეწევიან ავტაციას მის სასარგებლოდ, წარმოადგენენ დეპუტატობის კანდიდატის პარტიის (საარჩევნო ბლოკის) ინტერესებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებთან, ამომრჩევლებთან ურთიერთობაში, აგრეთვე საარჩევნო კომისიებში.

დეპუტატობის კანდიდატი ირჩევს ნდობით აღჭურვილ პირებს და კანდიდატად რეგისტრირების შემდეგ აცნობებს მათ შესახებ შესაბამის ადგილობრივ საარჩევნო კომისიას. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს ნდობით აღჭურვილი პირის სახელი და გვარი, სამსახურისა და ბინის მისამართები და ტელეფონის ნომრები. საარჩევნო კომისია განცხადების წარდგენიდან სამი დღის ვადაში რეგისტრაციაში ატარებს ნდობით აღჭურვილ პირებს და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს.

დეპუტატობის კანდიდატს არჩევნებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია შეწყვიტოს თავისი ნდობით აღჭურვილი პირის უფლებამოსილება და შეცვალოს იგი, აცნობებს რა ამის შესახებ შესაბამის საარჩევნო კომისიას. ნდობით აღჭურვილმა პირმა არჩევნებამდე ნებისმიერ დროს შეიძლება მოიხსნას უფლებამოსილება.

ნდობით აღჭურვილი პირები (არა უმეტეს ხუთისა) დეპუტატობის კანდიდატის მოთხოვნით გათავისუფლდებიან წინასაარჩევნო კამპანიის ვადით საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან. ამასთან, ოთხ მათგანს მიეცემა უხელფასო შვებულება, ხოლო ერთს შეუწარმუნდება საშუალო ხელფასი არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრების ხარჯზე. ხელფასი მას მიეცემა სამუშაო ადგილზე, რაც ფორმდება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის სათანადო ბრძანებით. საწარმოო და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს დეპუტატობის კანდიდატის განცხადება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გათავისუფლების ვადა და დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ. წინასაარჩევნო კამპანიის დამთავრების შემდეგ სათანადო ანგარიში გასანაღებლად წარედგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას.

ნდობით აღჭურვილი პირი არ შეიძლება იყოს საარჩევნო კომისიის წევრი.

**მუხლი 47.** საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობისათვის დეპუტატობის კანდიდატთა გათავისუფლება საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან

დეპუტატობის კანდიდატები რეგისტრირების შემდეგ თავისი სურვილისამებრ თავისუფლდებიან საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან წინასაარჩევნო კამპანიის ვადით ან ამომრჩევლებთან შეხვედრების მოწყობის, კრებებზე, მიტინგებზე, რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლების დროისათვის. ამასთან, მათ ენახებათ საშუალო ხელფასი არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

დეპუტატობის კანდიდატი თავისუფლდება საკუთარი განცხადების საფუძველზე და ხელფასი მიეცემა სამუშაო ადგილზე, რაც ფორმდება საწარმოს,



დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის სათანადო ბრძანებით. წინასაარჩევნო კამპანიის დამთავრების შემდეგ სათანადო ანგარიში გასანაღდებალად წარედგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას.

რეგისტრირების შემდეგ დეპუტატობის კანდიდატი არ შეიძლება გაიწვიონ ნამდვილ სამხედრო სამსახურში, სამხედრო შეკრებებზე ან შრომით სამსახურში. თუ იგი სამხედრო შეკრებაზე ან შრომით სამსახურშია, სამსახური შეწყდება არჩევნების დღის მომდევნო დღემდე. არჩეული დეპუტატი თავისუფლდება სამხედრო შეკრებისა და შრომითი სამსახურისაგან თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში.

**მუხლი 48.** დეპუტატობის კანდიდატთა უფასო მგზავრობის უფლება

დეპუტატობის კანდიდატს რეგისტრაციაში გატარების შემდეგ აქვს ყველა სახეობის სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) უფასო მგზავრობის უფლება საცხოვრებელი ადგილიდან შესაბამისი საკრებულოს ქვემდებარე ტერიტორიამდე და ამ ტერიტორიის ფარგლებში.

**მუხლი 49.** დეპუტატობის კანდიდატის ხელშეუხებლობა

დეპუტატობის კანდიდატი არ შეიძლება მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დააკაონ, დააპატიმრონ, გაჩხრიკონ ან დაადონ ადმინისტრაციული სახდელი სასამართლოს წესით, თუ არ იქნა შესაბამისი ადგილობრივი საარჩევნო კომისიის თანხმობა.

**მუხლი 50.** წინასაარჩევნო აგიტაცია

საქართველოს მოქალაქეებს, პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს, შრომით კოლექტივებს, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივებს, ნდობით აღჭურვილ პირებს გარანტირებული აქვთ შესაძლებლობა თავისუფლად და ყოველმხრივ განიხილონ არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკების, დეპუტატობის კანდიდატების საარჩევნო პროგრამები, დეპუტატობის კანდიდატების პოლიტიკური, საქმიანი და პირადი თვისებები, გასწიონ აგიტაცია პარტიის, საარჩევნო ბლოკის, დეპუტატობის კანდიდატის მხარდასაქერად ან საწინააღმდეგოდ კრებებზე, მიტინგებზე, პრესაში, ტელევიზიით, რადიოთი, რისთვისაც მათ საარჩევნო კომისიების მიერ გამოეყოფათ კრებებისა და მიტინგებისათვის შენობები და ადგილები.

არჩევნებში მონაწილე პარტიები, საარჩევნო ბლოკები და დეპუტატობის კანდიდატები აწყობენ შეხვედრებს თავიანთ ამომრჩევლებთან კრებებზე ან ამომრჩეველთათვის სხვა მოსახერხებელი ფორმით. საარჩევნო კომისია ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებთან ერთად მოვალეა ხელი შეუწყოს ასეთი შეხვედრების გამართვას, დროულად გამოაცხადოს მათი მოწყობის დრო და ადგილი.

შესაბამის საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის დღიდან პარტიებს, საარჩევნო ბლოკებს, დეპუტატობის კანდიდატებს უფლება აქვთ დაამზადონ წინასაარჩევნო მოწოდებები, განცხადებები, წარწერები, ფურცლები, ფოტომასალები და ა. შ. (ტექსტში შემდგომ — „პლაკატები“). პლაკატი წარმოადგენს



ბეჭდვით ნაწარმს, რომლის დამზადებისთვისაც არ არის საჭირო საგანგებო ნებართვა. სხვა მხრივ პლაკატებზე ვრცელდება ის ნორმები, რომლებიც რეგლამენტირებულია წინამდებარე კანონით.

ტერიტორიული და ადგილობრივი საარჩევნო კომისიები შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან ერთად უზრუნველყოფენ დეპუტატობის კანდიდატებისათვის, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკებისათვის საარჩევნო პროგრამებისა და დეპუტატობის კანდიდატების შესახებ მონაცემების შემცველი წინასაარჩევნო პლაკატების დაბეჭდვას არჩევნებამდე არა უგვიანეს 15 დღისა შემდეგი ნორმით: ყოველ დასახლებულ პუნქტში დეპუტატობის კანდიდატისთვის — თითო პლაკატი ყოველ 100 ამომრჩეველზე. პარტიებისა და საარჩევნო ბლოკებისათვის — თითო პლაკატი ყოველ 500 ამომრჩეველზე, რისთვისაც შესაბამის კომისიას მის მიერ დადგენილ ვადებში უნდა წარედგინოს პლაკატის ესკიზი და ტექსტი. პარტიას, საარჩევნო ბლოკს, დეპუტატობის კანდიდატს უფლება აქვს ეს პლაკატები თვითონ დაბეჭდოს. ამ შემთხვევაში, მისი განცხადებისა და წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე, შესაბამისი ადგილობრივი საარჩევნო კომისია აუნაზღაურებს მას გაწეულ ხარჯებს, ოღონდ არა უმეტეს კომისიის მიერ ამ მიზნით გამოყოფილი თანხისა.

არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკების, დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაციის დამთავრების დროისათვის ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ, საარჩევნო კომისიებთან შეთანხმებით, თითოეული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე უნდა გამოიყოს ხალხმრავალი, ადვილად მისადგომი ადგილები საარჩევნო პლაკატების განლაგებისათვის.

ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ შეიძლება აკრძალოს საარჩევნო პლაკატების გაკვრა ცალკეულ საზოგადოებრივ შენობებზე არქიტექტურისა და კულტურის ძეგლების დაცვის, მოძრაობის უსაფრთხოების მოსაზრებით. შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები ვალდებული არიან აიღონ ასეთი პლაკატები.

აკრძალულია და შესაბამისად ისჯება საარჩევნო პლაკატების მოხსნა, ჩამოხვევა, დაფარვა ან დაზიანება, თუ ეს პლაკატები აკრძალულ ადგილებში არ არის განლაგებული.

პლაკატები არ უნდა შეიცავდნენ ომის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალმომრეობით შეცვლის ან დამოუბნის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის, ეროვნული სიძულვილისა და მტრობის მოწოდებას, არ უნდა აღვივებდნენ რელიგიურ შუღლს, არ უნდა შეიცავდნენ პიროვნების პატივისა და ღირსების შემლახველ მონაცემებს.

არჩევნების დღეს ყოველგვარი აგიტაცია, გარდა ხმის მისაცემი შენობის გარეთ ადრე გამოკრული სააგიტაციო მასალისა, აკრძალულია.

**მუხლი 51.** მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში

საარჩევნო კომისიაში რეგისტრირების დღიდან პარტიები, საარჩევნო ბლოკები, ერთსა და იმავე ოლქში წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატები თანა-



ბარი უფლებებით სარგებლობენ მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებებით.

არჩევნებში მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, უფლება აქვს არჩევნებამდე არა უგვიანეს 5 დღისა რესპუბლიკურ და ადგილობრივ პრესაში, ხოლო დეპუტატობის კანდიდატს — ადგილობრივ პრესაში, გამოაქვეყნოს თავისი წინასაარჩევნო პროგრამა, პლატფორმა, რისთვისაც შესაბამის გაზეთს უნდა მიაწოდოს ამ დოკუმენტების ტექსტები არჩევნებამდე არა უგვიანეს 10 დღისა. ამისთან, ამ დოკუმენტების გამოაქვეყნებისას დაცული უნდა იყოს მათი წარდგენის რიგითობა.

არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობის წესს ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

არჩევნებამდე ბოლო 7 დღის განმავლობაში არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის ყოველგვარი გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება აკრძალულია.

### VIII. ხმის მიცემის წესი და არჩევნების შედეგების დადგენა. არჩევნების მეორე ტურა

**მუხლი 52.** ხმის მიცემის დრო და ადგილი

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების დროს ხმის მიცემა ეწყობა არჩევნების დღეს 7 საათიდან 20 საათამდე. საუბნო საარჩევნო კომისია ხმის მიცემის დროსა და ადგილს ამომრჩევლებს აცნობებს არჩევნებამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

ხმის მიცემის დროს დაუშვებელია ხმის მისაცემი შენობის ჩაკეტვა და ხმის მიცემის შეწყვეტა.

საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე და ძნელად მისადგომ ადგილებში შექმნილ საარჩევნო უზნებში საუბნო საარჩევნო კომისიას შეუძლია ხმის მიცემა დამთავრებულად გამოაცხადოს ნებისმიერ დროს, თუ ხმა მისცა სიაში შეტანილმა ყველა ამომრჩეველმა.

**მუხლი 53.** ხმის მიცემის მოწყობა

ხმის მიცემა ეწყობა სპეციალურად გამოყოფილ ისეთ შენობებში, რომლებიც არ არის მხოლოდ ერთი პარტიის სარგებლობაში. ამ შენობებში უნდა იყოს ფარული კენჭისყრისათვის მოწყობილი საკმაო რაოდენობით კაბინები ან ოთახები, განისაზღვროს საარჩევნო ბიულეტენების გაცემის ადგილები და დაიდგას საარჩევნო ყუთები. საარჩევნო ყუთები ისეთნაირად იდგმება, რომ ხმის მიმცემნი მათთან მისვლისას აუცილებლად გადიოდნენ ფარული კენჭის-

ყრის კაბინებს ან ოთახებს. ხმის მისაცემ კაბინებში (ოთახებში) უნდა კალმისტრები. ხმის მისაცემ შენობებსა და ოთახებში გამოკრული უნდა იყოს შესაბამის საარჩევნო ოლქში წარდგენილ კანდიდატთა სიები და საარჩევნო ბიულეტენის შევსების ინსტრუქცია.

თუ საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი დეპუტატობის კანდიდატი არჩევნებში აღარ მონაწილეობს, სათანადო განცხადება თვალსაჩინო ადგილას უნდა იყოს გამოკრული როგორც საარჩევნო უბანში, ასევე ხმის მისაცემ კაბინებში (ოთახებში).

პასუხისმგებლობა ხმის მიცემის ორგანიზაციისათვის, ამომრჩეველთა ნების გამოვლინების საიდუმლოების უზრუნველყოფისათვის, შენობების მოწყობისა და იქ საჭირო წესრიგის დაცვისათვის ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიას. ხმის მიცემის დღეს ხმის მისაცემ შენობასა და მის მიდამოებში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე; წესრიგის დაცვის მიზნით მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება ყველასათვის სავალდებულოა. ხმის მისაცემ შენობაში დაუშვებელია შეიარაღებულ პირთა შესვლა. მილიციის თანამშრომელი, რომელიც თავის მოვალეობას ასრულებს, ხმის მისაცემ შენობაში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის ნებართვით. ამომრჩეველი ხმის მისაცემ შენობაში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ ხმის მიცემისათვის აუცილებელი დროის განმავლობაში.

არჩევნების დღეს ხმის მიცემის დაწყებამდე საარჩევნო ყუთებს ამოწმებს და პლომბავს ან ლუქავს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის ყველა წევრის თანდასწრებით, რის შემდეგაც ყუთებში უშვებენ საკონტროლო ფურცელს, რომელსაც ხელს უნდა აწერდნენ კომისიის წევრები და ხმის მისაცემად მისული პირველი ამომრჩეველი; მასზე უნდა აღინიშნოს ურნაში ფურცლის ჩაშვების დრო.

თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. სხვა პირთა მაგივრად ხმის მიცემა დაუშვებელია. საარჩევნო ბიულეტენებს გასცემს საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა სიის ან ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა საბუთისა და ამომრჩეველის ბარათის წარდგენისას. საარჩევნო ბიულეტენის მიღებას ამომრჩეველი ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით. ხმის მიცემის უფლების მოწმობები ერთვის ამომრჩეველთა დამატებით სიას.

მოქალაქენი, რომლებიც შეცდომით ვერ მოხვდნენ ამომრჩეველთა სიაში, პირადობისა და საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე შეაქვთ ამომრჩეველთა დამატებით სიაში.

იმ შემთხვევაში, როცა ცალკეულ ამომრჩეველებს ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა მიზეზთა გამო არ შეუძლიათ ხმის მისაცემ შენობაში მისვლა, საუბნო საარჩევნო კომისია მათი თხოვნით ავალებს კომისიის წევრებს მოაწყონ ხმის მიცემა ამომრჩეველთა ყოფნის ადგილას ამომრჩეველთა სიის დანართის საფუძველზე, რის შესახებაც ამომრჩეველთა სიაში კეთ-

დება სათანადო აღნიშვნა. ამ შემთხვევაში ხმის მიცემის მოწყობაში მონაწილეობს კომისიის სულ ცოტა ორი წევრი. ხმის მიცემის ამგვარი ჩატარებისათვის გამოიყენება ერთი გადასატანი საარჩევნო ყუთი: ასეთივე წესით ეწყობა ხმის მიცემა იმ შემთხვევაშიც, როცა ამომრჩეველი თავისუფლების აღკვეთის ადგილას იძუდება სასამართლოს განაჩენის გარეშე.

**მუხლი 54.** ხმის მიცემის ჩატარება

საარჩევნო ბიულეტენს ამომრჩეველი ავსებს ფარული კენჭისყრის კაბინაში ან ოთახში. ბიულეტენების შევსებისას აკრძალულია ვინმეს დასწრება. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენი, უფლება აქვს კაბინაში ან ოთახში სხვა პირი მიიწვიოს თავისი შეხედულებისამებრ, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, ნდობით აღჭურვილი პირისა და დეპუტატობის კანდიდატის (პარტიის, საარჩევნო ბლოკის) წარმომადგენლისა.

საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას ამომრჩეველმა დეპუტატობის ყოველი კანდიდატის გვარის გასწვრივ ცარიელ უჯრაში უნდა ჩაწეროს ციფრები შემდეგი მიმდევრობით: ციფრი „1“ იმ კანდიდატის გვარის გასწვრივ, რომელსაც აძლევს უპირატესობას სხვების წინაშე; ციფრი „2“ იმ კანდიდატის გვარის გასწვრივ, რომლის კანდიდატურაც მისთვის პირველის შემდეგ ყველაზე უფრო მისაღებია; ციფრი „3“ იმ კანდიდატის გვარის გასწვრივ, რომელსაც პირველი ორის შემდეგ აძლევს უპირატესობას სხვების წინაშე და ა. შ. ამომრჩეველს უფლება აქვს შეჩერდეს ნებისმიერ ციფრზე.

თუ ამომრჩეველს უყურადღებობის გამო გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი, მას შეუძლია მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ან მდივანს, ჩააბაროს გაფუჭებული ბიულეტენი და მიიღოს ახალი. გაფუჭებულ ბიულეტენს ამომრჩეველის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე და ცალკე ინახება.

შევსებულ ბიულეტენებს ამომრჩეველი უშვებს საარჩევნო ყუთში.

ხმის მისაცემი შენობა იკეტება 20 საათზე. ამ დროისათვის შენობაში მყოფ ამომრჩეველებს შეუძლიათ ხმის მიცემა.

**მუხლი 55.** ხმების დათვლა საარჩევნო უბანში

ხმების დათვლისას დაცული უნდა იყოს შემდეგი თანამიმდევრობა:

1) ხმის მიცემის დამთავრების შემდეგ საარჩევნო კომისია ითვლის და პაკეტად კრავს გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს; პაკეტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის სახელი და ნომერი, გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა, მას ხელს უნდა აწერდნენ კომისიის თავმჯდომარე (ან მოადგილე) და მდივანი, და დაესვას კომისიის ბეჭედი; ითვლის და პაკეტად კრავს გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენებს და აფორმებს ზემოთ აღნიშნული წესით;

2) ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, და არჩევნებში მონაწილეთა ანუ იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომლებმაც მიიღეს ბიულეტენები;



3) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრების მოწვევებით ამოწმებს საარჩევნო ყუთებზე ბეჭდის მთლიანობას, ხსნის მათ და ამოწმებს ყუთებში საკონტროლო ფურცლის არსებობას;

4) კომისია ითვლის ყუთებში არსებული ბიულეტენებისა და ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობას. ბათილად ცნობილი ბიულეტენები კონვერტში იდება და იმდაგვარად იბეჭდება, რომ ბეჭდის დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს კონვერტიდან ბიულეტენის ამოღება ან მასში ჩადება. კონვერტუნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, მასში ჩადებულ ბიულეტენების რაოდენობა, მათი სახეობა;

5) საარჩევნო ბიულეტენი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, თუ:

ა) იგი დაუდგენელი ნიმუშისაა;

ბ) ციფრი „1“, რომელიც პირველ არჩევანს მიუთითებს, არც ერთი გვარის გასწვრივ არაა მიწერილი;

გ) ციფრი „1“, რომელიც პირველ არჩევანს მიუთითებს, მიწერილია ერთზე მეტი გვარის გასწვრივ;

დ) ერთი კანდიდატის გვარის გასწვრივ მიწერილია ციფრი „1“, რომელიც პირველ არჩევანს მიუთითებს, და მის გვერდით სხვა ციფრი ან ციფრებია მიწერილი;

ე) შეუძლებელია დადგინდეს, რომელი კანდიდატის მიმართ გააკეთა ამომრჩეველმა პირველი არჩევანი.

